619
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 3 მარტი 1960



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე
ფოტო თ. არჩვაძისა

30

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუცა ბერულავა

შენი დედობით ხარ მშვენიერი!

როდესაც შვილი შინიდან მიდის
და ტოლთა მისთა წკრიალი გესმის,
მის ნორჩ ნაბიჯებს მიჰყვები რიდით
და გული შენი რატომღაც კვნესის.

კვნესა კი არა, ეს არის ლოცვა
ბედნიერი და ამაყი დედის.
მისთვის იწვი და არა გაქვს მოცლა,
რომ პირმშოს ჰქონდეს ნათელი ბედი;

ჰქონდეს მზიანი დღე მომავალი,
იყოს მართალი, მხნე და ძლიერი! —
შენ გალამაზებს ზრუნვა მრავალი,
შენ ამ დედობით ხარ მშვენიერი!

განა მარტო ხარ შენი ფიქრებით,
ჩვენც ხომ იგივე ოცნება გვავსებს,
ჩვენი დღეებიც, ფრთებიც, წიგნებიც
და ყველაფერი ეკუთვნის ბავშვებს!

ეს მათთვის იცავს მშვიდობას ხალხი,
ეს მათთვის იბრძვის ძალა კეთილი,
არ მიეკაროს ყვავილებს ალხი
და ომსაც დახვდეს გზა დაკეტილი.

მაშ, ნუღარ შფოთავს ეს გული წმინდა
ცხოვრების გზაზე იარე მშვიდად.
სიცოცხლე ბავშვებს! დიდება შენდა
მაშვრალო დედავ...

7986

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 3 (104) მარტი, 1960 წ.

გამოცემის IX წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საალიფერაგზურო-სამხატვრო ჟურნალი

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის 50 წლისთავი

თეა ცეცხლაძე
8 წლის შემდეგ
მე მჯერა მათი
რევაზ ინანიშვილი — ფერები შორიდან
დიდი მეცნიერის ლაბორატორიაში
ჰაინრიხ ბიოლი — ჩემი ძვირფასი ფეხი
ორი ბრიგადირი
შენც სუ, მეც სუ...
ლა სკალას საჩუქარი
მაია და ქანა ღარკი
ბელა მირიანაშვილი
ბრაზილიის ახალი დედაქალაქი

[illegible]

თეა ცეცხლაძე

თეა ცეცხლაძე ათვალიერებდა თავის ჩანაწერებს: „...თეთრპარკიანი აბრეშუმი უკვე მოიტანეს... ღვინო № 23 დაბრუნდა დეგუსტაციის შემდეგ... კონიაკი მზადაა გამოსაცდელად... ხურმა და ატმის კონსერვი ჯერ არ გამოგვიცდია... ლიმონების საკონტროლო ჯგუფის შემოწმების ვადა დღეს დამთავრდა..“

...იმ დღეს ცდების ახალ წყებას იწყებდნენ და თეას უნდოდა თავი მოეყარა ყველაფრისათვის, რაც აქამდე გაეკეთებინათ...

მაგრამ ახლავე უნდა გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ ყოველივე ეს, რაზედაც ქვემოთ მოგითხრობთ მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, ან მეხილეობის საკვლევ ინსტიტუტში არა ხდება, თუმცა მეღვინეობასთან და მეხილეობასთანაც, მეაბრეშუმეობასთანაც და საკონსერვო მრეწველობასთანაც უშუალო კავშირი აქვს.

განყოფილებას, რომელსაც თეა ცეცხლაძე განაგებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში „ბირთვული ფიზიკის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების განყოფილება“ ეწოდება, მაგრამ პირველივე თემა, რომელიც განყოფილების გამგემ დაგვისახელა ფრიად „შემტევ“ ხასიათს ატარებს, თანაც იმდენადაა დაშორებული ჩვენს ჩვეულებრივ წარმოდგენას ბირთვულ ფიზიკაზე, რომ, ალბათ, გაკვირვება ვერ დავფარეთ და ფიზიკოსს ვრცელი ახსნა-განმარტება დასჭირდა. ამ თემას სახელად ეწოდება „აბრეშუმის ჭუპრის სხივადი გაგუდვა“, მისი შინაარსი კი ფრიად მშვიდობიან მიზნებს ემსახურება. როდესაც აბრეშუმის ჭუპრი დაასრულებს პარკის შემოქსოვას, მას კლავენ, რათა არ გამოხრას პარკი და არ დააშავოს ყაჭი, ამისთვის აბრეშუმის პარკს მდუღარე წყალში ათავსებენ, ან ცხელი ჰაერით გუდავენ, მაგრამ ამგვარად დამუშავებული აბრეშუმის პარკი კარგავს თავის თვისებებს,—მეცნიერებმა გადაწყვიტეს ჭუპრის გასაგუდავად გამოეყენებინათ გამა-გამოსხივება. მაგრამ ჭუპრი მეტად ამტანი გამოდგა ამ გამოსხივების მიმართ. თუ ადამიანისათვის 500 რენტგენი (რენტგენი — გამა-გამოსხივების დოზის ერთეულია) ამ გამოსხივებისა უკვე მავნებელია — ჭუპრის მოსაკლავად 200.000 რენტგენი გახდა საჭირო. მაგრამ ესოდენ ძლიერ გამოსხივებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს თვით ძაფის ტექნოლოგიურ თვისებებზე. და აი, ტექსტილის ცენტრალური ლაბორატორიის ინჟინრებთან ერთად ფიზიკოსები შეუდგნენ შრომატევად სამუშაოს — გამა-გამოსხივებით გაგუდული ჭუპრის პარკიდან ამოხვეული აბრეშუმის ძაფის ტექნოლოგიურ გამოკვლევას.

შედეგები სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა — აბრეშუმს არათუ ევნო რამე, არამედ, პირიქით, —ძაფი უფრო ელასტური, უფრო ადვილად ამოსახვევი გახდა. ამ მუშაობის შედეგები თეა ცეცხლაძემ 1958 წლის სექტემბერში მოახსენა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც შეიკრიბა ჟენევაში ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების გამოკვლევათა შესაჯამებლად.



ბირთვულ ფიზიკას იმდენად მრავალგვარი გამოყენება აქვს ჩვენს მრეწველობაში, რომ თუნდაც მხოლოდ ჩამოთვლა დარგებისა, სადაც მას იყენებენ შორს წაგვიყვანდა... ცნობილია, თუ რა დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს კვების მრეწველობის წინაშე — მიმდინარე შვიდწლედში —1965 წლისათვის საქართველოს ვენახებში ნახევარი მილიონი ტონა ყურძენი დაიკრიფება წელიწადში. ამ დიდ მოსავალს მოვლა-პატრონობა სჭირდება. ამ საქმეში მეღვინეებს უნდა დაეხმაროს... ახლად აგებული რეაქტორი. ღვინის და საკონიაკე სპირტის დაძველება შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია.

მაგრამ თურმე ისევ იმ გამა-გამოსხივების მეშვეობით შეიძლება ამ პროცესის დაჩქარება, გამა-გამოსხივება აჩქარებს ღვინის ზოგიერთ შემადგენელ ნაწილთა დაჟანგვას, იწვევს სხვა ბიოქიმიურ პროცესთა დაჩქარებას.

...და ამჯერად თეა ცეცხლაძეს და მის თანამშრომლებს მეღვინეობის შესწავლა მოუხდათ, ახლა მებაღეობა-მევენახეობის მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად მათი ღვინისა და კონიაკის დაძველებას მოჰკიდეს ხელი...

სადეგუსტაციო კომისია, რომელიც ამოწმებდა ხელოვნურად, გამა-გამოსხივების საშუალებით დაძველებულ ღვინოს ფრიად კმაყოფილი დარჩა.

ამ სამუშაოს დამთავრება და შედეგების დანერგვა მეღვინეობაში საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი და უფრო უკეთესი ხარისხის ღვინო და კონიაკი მივაწოდოთ მშრომელებს. ათას ტონობით ხილი უნდა მოიყვანონ საქართველოს მებაღეებმა, — ზოგი კონსერვებად უნდა გადაამუშაონ, ზოგი ცოცხლად შეინახონ — ამ საქმეშიაც ფიზიკოსები უნდა დაეხმარონ მეხილეებს.

ხილის და კონსერვების შენახვის ვადების გაგრძელება ახლა თეა ცეცხლაძის და მის თანამშრომელთა საჭირბოროტო პრობლემას შეადგენს.

ბირთვულ ფიზიკას სრულიად მოულოდნელი გამოყენება აქვს. თითქოს რა კავშირი უნდა ჰქონდეს ატომურ ფიზიკას ბაღების და პარკების გაშენებასთან? თურმე ეს კავშირი სრულიად უშუალო და პირდაპირია. სხვადასხვა ჯიშის ხეები იზრდებიან ერთად არა შეშთხვევით, არამედ ბუნებრივ ასოციაციებს შეადგენენ. ასოციაციების ჩამოყალიბება კი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ აირებზე, რომელსაც ხეები გამოჰყოფენ. სხვადასხვა ჯიშის ხეების მიერ გამოყოფილი აირების შემადგენლობა ფრიად განსხვავდება. ამასთანავე ეს აირები შეიძლება მავნეც იყოს ხეებისათვის, რომლებიც არ შედიან უკვე ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ასოციაციაში.

ამგვარად, ხეების ხელოვნური ასოციაციების შერჩევის დროს საჭიროა ზუსტად ვიცოდეთ მათ მიერ გამოყოფილი აირების თვისება — ეს კი შეუძლებელია კვლევაძიების უახლესი ფიზიკური მეთოდების გამოყენების გარეშე და ამჯერად თეა ცეცხლაძეს მოუხდება ბოტანიკოსებთან ერთად დენდროლოგიურ კვლევას მიჰყოს ხელი.

კიდევ მრავალი სხვა საკითხის შესახებ გვიამბო თეა ცეცხლაძემ, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბირთვული ფიზიკის საკითხებით დაინტერესდა და აგერ უკვე თერთმეტი წელია მუშაობს ამ დარგში. პრაქტიკულ ამოცანების გადაჭრასთან ერთად, იგი დიდ თეორიულ განზოგადების საკითხებსაც არ ივიწყებს.

ატომური რეაქტორის აგებამ ახალი შესაძლებლობანი შეუქმნა საქართველოს ფიზიკოსებს. თეა ცეცხლაძის მუშაობის უახლესი თემაა — „ბირთვულ რეაქტორში წარმოქმნილ ნივთიერებათა აქტივობის შესწავლა“...

8 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ კოპალეიშვილის სახელი, ვინაობა და ბიოგრაფია უცნობი როდია ჩვენი საზოგადოებისა და, მით უმეტეს, „დროშის“ მკითხველებისათვის. ჯერ კიდევ 1952 წელს გაიცნეს „დროშის“ ფურცლებიდან ჩვენმა მკითხველებმა იგი. მაშინ ჩვენი კორესპონდენტი და ფოტორეპორტიორი მარტო საწარმოო მაჩვენებლების აღნუსხვით არ დაკმაყოფილდნენ, ბინაზეც ეწვივნენ სახელგანთქმულ სტახანოველს და ქალიშვილებთან ერთად სურათი გადაუღეს. დედა — აი ეს სანდომიანი ქალი, მაშინ ოთხდაზგოსანი მჭსოველი იყო, ქალიშვილები კი — ნელი და ნუნუ საშუალო სკოლაში სწავლობდნენ.

ეს სურათი თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. მაგრამ იგი უფრო საგულისხმო გახდება, თუ მკითხველებს გავახსენებთ, რომ თამარი, სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული მეომრის ქვრივი, მარტო უძღოდა ოჯახს, მარტო მას აწვა მხრებზე პასუხისმგებლობა შვილების მომავლისათვის.

მას აქეთ რვა წელიწადი გავიდა. „დროშის“ კორესპონდენტები ისევ ეწვივნენ აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას, მერე კი თამარ კოპალეიშვილის ოჯახსაც.

ამ რვა წლის განმავლობაში თამარს არავისთვის დაუთმია პირველობა დაზგასთან, არა ერთხელ გაიმარჯვა მჭსოველთა საკავშირო შეჯიბრებაში, დაამთავრა პარტიული კურსები, იყო თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პლენუმის წევრი. ახლა ფაბრიკის საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის წევრია. არასოდეს, არსად, არც ერთ სამუშაოზე თამარს თავი არ შეურცხვენია.

— თქვენი ქალიშვილები როგორ არიან? რა არის მათ ცხოვრებაში ახალი?

— ბევრი რამ.

— მაინც, კმაყოფილი ხართ შვილებით?

— თვითონ განსაჯეთ. უფროსმა, ნელიმ, საშუალო ოქროს მედალზე დაამთავრა და უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე შევიდა. ბავშვობიდანვე ძალიან უყვარდა საზოგადოებრივი მუშაობა, იყო პიონერთა რგოლის ხელმძღვანელი, იყო ხელმძღვანელი კომკავშირულ სამუშაოზე. არც უნივერსიტეტში ჩამოშორებია საზოგადოებრივ საქმიანობას. უნივერსიტეტი ფრიადზე დაამთავრა და პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. მაგრამ ჯერ კიდევ დამთავრებამდე საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა რუსთავში მიავლინეს კომკავშირის ქალაქკომის სასკოლო განყოფილების გამგედ. როგორც ეტყობა, ამ საქმეზე „ცუდად არ უმუშავია, რადგან ახლა უკვე რუსთავის ქალაქკომის მესამე მდივანია.

— ვუსურვებთ წარმატებას!.. ნუნუზე რას იტყვით?

— ნუნუ ფიზიკოსია გატაცებული. წელს ამთავრებს უნივერსიტეტის ფიზიკურ ფაკულტეტს, წარჩინებული სტუდენტია, მატრიკული უკვე დახურული აქვს და ახლა პრაქტიკაზეა. ნელიმ მას ჯერჯერობით ერთ სერიოზულ საქმეშიც აჯობა: უკვე გათხოვდა და მე მალე, ალბათ, ბებია ვიქნები.

— წინდაწინ მოგვილოცნია. ეს პატარა ვინღა არის?

— ეს მანანაა!

— ჩვენ მას არ ვიცნობთ.

— არც გასაკვირია. 1952 წელს ეგ ჯერ არ არსებობდა ქვეყნად. იმ წელიწადს მეორედ გავთხოვდი.

—შენ რას აპირებ, მანანა, როცა გაიზრდები?

— არ ვიცი...

— ახლა რას აკეთებ?

— საბავშვო ბაღში დავდივარ.

— კიდევ?

— კიდევ დავდივარ პიონერთა სასახლეში. კიდევ ვძერწავ, ვთამაშობ... მაგრამ უფრო ხშირად ვცეკვავ, საბავშვო ბაღში კი ვთამაშობ, ვძერწავ და ვსადილობ...

რევაზ სილაგაძე.

რევაზ მარგიანი

რა შორს იყო შაორი

ცხრაასორმოცდაორი!
რა შორს იყო შაორი!
მობიბინე ქათიბი—
ჩვენი სამკალ-სათიბი!

რა შორს იყო ლაჯანა,
რა შორს იყო ალპანა,
შენი ლურჯი ფანჯარა
თვალწინ ჯერ არ ჩამქრალა!

რა შორს იყო ყვირილა,
[illegible] შორს იყო ენგური,
ენძელა და გვირილა
ერთ დიდ კონად შეკრული!

ცხრაასორმოცდაორი!
რა შორს იყო შაორი!

რა შორს იყო ჭანჭახი,
რა შორს იყო რიონი,
ახლაც ყურში ჩამძახის
არაგვი და იორი!

ცხრაასორმოცდაორი...
რა შორს იყო შაორი.

ტრაქტორის მოგონება

შორი, შორი კორდები
ერთად მომაგონდებით,
საირმე და დეხვირი!
სიზმრიანი ოდები,
ლურჯი უღელტეხილი.

ოჯალეშის მარცვლები
შენი თვალის ნაირი,
უღვინოდაც დავთვრები
შენით სავსე ჰაერით.

ფიცხობს, ფიცხობს მაჭარი—
ღვინო დაუდუღარი,
დამგუგუნებს ბუხარი,
დეხვირული ბუხარი.

გაღმა, სერზე სურმუში
უკვე ყვინთავს ურმულში!

შორი, შორი კორდები
ერთად მომაგონდებით,
საირმე და დეხვირი,
სიზმრიანი ოდები,
ლურჯი უღელტეხილი...

გიორგი ქაჭახიძე

ჩვენი ვინაობა, [illegible]...

ნობათად მეგობარს—ვისიც ხმა დღემდე
ტკბილად მესმის ხალხური სიმღერების
გუნდებიდან.

ბედი არ დაგყვა ხელგაშლილობის,
ადრე გაიცნო გულმა ნაღველი.
მწარე ცხოვრების ობოლ შვილობილს
ქვეყნად რა გქონდა ტკბილად სამღერი!

ერთი უყავრო ქოხის მემკვიდრეს
გეგო სხვის კარზე ძველი ნაბადი.
სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვზე ეკიდე.
ხმას სიმღერისთვის მაინც წაფავდი.

ობლის პატარა ნატვრის ნაკვერცხალს
ვერ წააყარა ბედმა ნაცარი;
ძილშიც ოცნებამ ფრთა არ დაკეცა,
დიდხანს ეძება თავშესაფარი.

წამოეშველა გზად განთიადი,
ფეხქვეშ ბილიკი გათბა, დარბილდა...

ამოფიქფიკდი, ამოფრთხიალდი
მწარე ობლობის ეკალბარდიდან.

ხმა დამადევნე სიტკბოდ სოფლიდან,
გული ქალაქშიც გახსენ ალალი,
და ჩემს ხმას ძმურად შეეფოფინა
შენი ვარადა, ჰარიარალი...

ხალხი, სამშობლო, სითბო ოჯახის
დრომ თაიგულად გულში შეგიკრა.
ვისმენ აქამდე შენს ტკბილ მოძახილს,
შენც სიმღერაში თმა შეგეფიფქა.

გავეაღარავდით, და რა ვიღონოთ,
აგვშორდეს ჭირი—ჯანის დამცემი..
მოდი, მომიჯექ და მოვიგონოთ
ჩვენი ორღობე, სახლისკაცები.

ნოდარ ლაღიძე

ბ ა ბ ჯ ი ნ ა ვ ა თ ი

ნოდარ ლაღიძე(1933-1) წელილობრივ 1955 წელს დამთავრა სტალინის სახელობის ენციკლოპედიის ინსტიტუტის ფაკულტეტი. ბოლო წლებია, რაც მისი მოთხრობები და მცირეოდენ ნარკვევები ბეჭდავს ჩვენ-რესპუბლიკის ეკონომიკა-ეკონომიკაში. ეკონომიკა "ლენინის" კონკურსზე მცირეოდენ ნარკვევებთან "მე ბჭერა მათი", მან დაიმსახურა მეორე პრემია.

დროსთან შეჯიბრება

ახალშოფელში გმირობით ვის გაგიერეკეს, აქ ყოველი მეორე კაცი შრომის გმირია, ორგზის გმირია, ერთგზის გმირია, გმირის ზოგება არა აქვს და მარნე გმირია, ყველა ეუფლენა გმირია, ყველა ეუფლენა გმირია. ეიცი, ბაბ, ბოთთან ეს სასსენებელია, ერთი პატარა ქალია, ერთმელი კარგ დარში უბრალოდ ბეკერილ ჩოთის კბასა იეკეშს და დაბალ ქუსლიან ფეხსაცმელებს, ადგარში ვი — ბეზინ-ს ჩექმებს და შე კბასა...

ფიდალ...
ქამეზენი.
ნ-ფილებანი.
ინდიკატენი.
ჩანს პლანტაცია.
სიფზეზ.
ეროშ.
ნეგზარი..
სკოლა.
„ეამარეობთ, ბაეშვებო"...
— ეუფენენა ნელი!
— ოოგავ: ეაბტაეეი!
— ზონია ბერაშ!
ისევ ჩანს პლანტაცია...
ფუთოლუკეენი და ფუთოლუგა-ჩენა...

ასე გადის დღეები და ასე ცხოვრობს ეიცი.

იყო დრო, როცა მთელი სოფელი თამარ ეუფენინან ბაალეი, მერე ხუტა ეუფენინან, ოლია ეუფენინან, ბაბეში ეუფენინან, ოლიო ეუფენინან, ფენია ეუფენინან. ახლა კი გასაკვირი არაფერია, გმირობა ჩვეულებრივი ამბავია. ბაბ, რატომ ეკეთის ოინა, რა ბრალ ეკეთის? ბერე ოინ, რომ მაეწუალეთანა, ეიცი ეკეთიფრ ანდერეს.

— აწყორად ეს მიკეირს, ჩემი ბატონო! — ამბობს ოინა და ეიცის ეპეთ ეკეკრინს. მე ეიცი მინა ამბავეე; ფრიფელ კაცია და ახალგაზრდები ეპეთი ეუფენენ, ბაბ, ეიცი ეკეკრინ ეკეკრენ ეკეკრენ ეკეკრენ

პოეტური ნოველები

ძახილი მთაში

მხატვარი დიმიტრი ერისთავი.

მე მაშინ პატარა ვიყავი, ხელები ცი დიდები იყო. თელებზე ჩიტბატონები ბუდობდნენ, ლურჯ ფოთლებშორის მზის გრძელი სხივები ჩამოდიოდა. სხივები ხანდახან წყდებოდა — გაწყდებოდა ერთი რომელიმე და აენთებოდა იმავე წამს, გაწყდებოდა და აენთებოდა იმავე წამს...

ეს ჩიტბატონები ფრენდნენ. ჩიტბატონები მთელ დღეს ჭიკჭიკობდნენ, ფართქალებდნენ და წითელ-ყვითელ ფერებად ფრენდნენ.

თელების ქვეშ, მტვრადქცეულ ფუნეში, ცხენებგამოხსნილი კაზაკური ბრიჩკა იდგა, ძარაში ჩამჯდარი ბალახი ეყარა. ბალახს ქათმები ქექდნენ, მარცვლებს ეძებდნენ. ნაბადგადაფარებულ კოფოზზე კოჭლი მამალი გადი-გამოდიოდა და რაღაცას ქადაგობდა — ყო-ყო-ყო, კუ-კუ-კუ-კრრრ...

მამალს აქერცლილი, ჩალურჯებული ჯიჯლიბო ჰქონდა.

ცხენოდა.

უძრავი ჰაერი ბუზებით, ბზუილით და მტვრის გახურებული ნაწილაკებით ივსებოდა.

ჩვენ თელის ფესვებზე ვისხედით — მე, ანული და თინა. მე პატარა ვიყავი, პატარა ბიჭი, ექვსი-შვიდი წლის. ანული და თინა კი დიდები იყვნენ, დიდი ქალიშვილები. ანული ბოშასავით შავი, ტანწვრილი, ხმელმხრებიანი. თინა — ფაშფაშა, თეთრი, ღონიერი.

თინას წითლად დაწინწკლული მსხვილი, გავარვარებული ფეხები ჰქონდა. მაღალი, კასკასა ხმით იცინოდა და სიცილის დროს წყლისფერი გახარებული თვალები ეხუჭებოდა,

მე, ანული და თინა ბებერი თელის ფესვებზე ვისხედით და თინას მამას პროკოფის ველოდებოდით...

ცოტა ხანში ყუპრით დაპოხილ მოსართავიანი ქურანა ცხენები გამოჩნდნენ — თავის ქნევითა და ფრუტუნით ამოდიოდნენ თიხისფერ ალმართზე, მზეში. უკანა ცხენზე ქუდჩამოფხატული პროკოფი იჯდა, ტლანქი, მორბენალივით უსიცოცხლო ფეხები მიწამდე ჩამოეკიდა, ნელ-ნელა მოეზაუებოდა და თან შოლტის ტარზე რაღაც კანაფს ახვევდა.

ცხენებიც საოცრად დიდები იყვნენ. ვეება ფლოქვები, ტახტივით ფართო გავები და კასრივით დაბერილი ფერდები ჰქონდათ. როცა პროკოფი ბრიჩკაში ამამდა, მძიმედ მიაძგარუნებდნენ მორეულ ნალებს, ათახთახებდნენ ბუზდამჯდარ კანს და უგულოდ იქნევდნენ ძუაშემოწყვეტილ კუდებს.

თინა ანულის ეჩურჩულებოდა. ანული დაფიქრებული იჯდა — გრძელმკლავებიანი, გრძელკანება. მუხლები ერთმანეთისათვის მიეტუჯებინა, ზედ ნიკაპით დასწოლოდა, გაეწვდინა წინ წვრილი მბზინავი მარჯვენა ხელი და გაფხვიერებულ მიწაზე ყელმაღალ ხუჭუჭმიან ქალს ხატავდა.

ორივეს საზაფხულო მწვანე ქოშები ეცვა, ქოშებში ტტვერი შესვლოდათ, შიშველი თითები გასჭუჭყიანებოდათ.

საკვირველი იყო და თითქო სასიამოვნოც — ანულის, ულამაზეს ქალიშვილს ამ ქვეყანაზე, გრძელი დაბრეცილი ფეხის თითები ჰქონდა.

თინა ანულის ეჩურჩულებოდა და ხანდახან მამისკენ აჰარებდა მზერას.

დილით პროკოფის ბრიგადირთან ჩხუბი მოუვიდა და ახლა უგუნებოდ იყო. ცხენები შეაბა, ბრიჩკაში ბალახი გაასწორა, შინიდან წალდი გამოიტანა და მაშინ ძლივს მოახერხა ერთი სიტყვის თქმა:

— დასხედით!

ჩვენ სურა, ჩანთები და თოხები ბრიჩკაში ჩავაწყეთ. თინა წინა თვლის მორგვზე შედგა, ხელნას გადააწვა, მარჯვენა ფეხი აიქნია, ჰოპლაო და სიცილით გადაგორდა ბრიჩკაში ჩაგებულ ბალახზე. პროკოფიმ შეუბღვირა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს. თინა მუხლებზე კაბას ისწორებდა.

ანული წითლდებოდა და ბრიჩკას ხან აქედან ეჭიდებოდა, ხან იქიდან. ბოლოს ისიც მორგვზე შედგა. თინამ თავისი ღონიერი ხელები შეაშველა და ორივე ბალახზე გადაგორდა

მეც ავედი, პროკოფის გვერდით, კოფოზე დავჯექი. პროკოფიმ ნაბდისძველა გაისწორა, ცხენებს სადავეები აუქნია და დავიძარით.

პროკოფი ცხენის, კუპრის, თამბაქოსი და ფუნის სუნით იყო გაჟღენთილი.

გზა ჯერ სოფელ-სოფელ მიდიოდა, მერე სასაფლაოსკენ აუხვია. სასაფლაოზე, იქით, ჩრდილოვან ფერდობში ქალიშვილის ძველი მარმარილოს ქანდაკება იდგა. მე ის ბევრჯერ მენახა. ვნახავდი და ყოველთვის ამას ვამბობდი, რომ ეს ქანდაკება ანულის გავდა. ვნახავდი და ძვლების სასიამოვნო ტკივილით გავიფიქრებდი — ანული როგორ მოკვდება (რატომღაც ასე მეგონა, რომ ის ახალგაზრდა და ლამაზი უნდა მომკვდარიყო), გავიზრდები თუ არა, ასეთ ძეგლს დავუდგამ-მეთქი, ლამაზ ადგილას, სურნელოვანი ცაცხვების ძირში...

ბრიჩკა წყნარი რიკრიკით მიჰყვებოდა ცხენებს. ანული და თინა ფეხმორთხმულნი ისხდნენ, ხელები მთელ სიგანეზე გაეშალათ, ჩასჭიდებოდნენ ხელნებს და ძიგძიგებდნენ, იცინოდნენ. თინა ისევ რაღაცას ეჩურჩულებოდა ანულის. ანული თვალებს ხრიდა, წითლდებოდა.

გზა ახლა ტყისკენ გაბრუნდა, შორსდარჩენილი მარმარილოს ქალიშვილი ფეხის წვერებზე წამოწეული გვადევნებდა თვალს. მის უკან ნაღვლიანი კვიპაროსები აჰკოროდნენ შაბიამნისფერ, მოცახცახე ცას.

ტყეში ჩიტები ჭიკჭიკობდნენ, ნესტის სუნი იდგა, გრილოდა, მზე გზაზე გადმოხრილ ტოტებშორის მოიკვლეოდა გზას.

ის ტყეც გავიარეთ და იმ ველში გავედით, საცა კარტოფილი ეთესა და ჩვენ უნდა გვეთოხნა. ანულის და თინას უნდა ეთოხნათ, პროკოფის ჭიგო მოეჭრა, მე მარწყვი დამეკრიფა.

პროკოფიმ ბრიჩკა ძირგამომწვარ მუხასთან გაიჩერა. ეტყობოდა აქ ადრეც ყოფილიყვნენ, ცეცხლი ნთებოდათ, გაჭყლეტილი პაპიროსის კოლოფი და ქაღალდები ეყარა. გადმოვედით. სურა და ჩანთები მუხის ფუღეროში შევაწყეთ. პროკოფიმ წალდი წელში გაირჭო, ცხენები გამოუშვა, გაირეკა წინ და ველის შორეული ქიმისაკენ წავიდა, თინამ და ანულიმ თხელი დაწინწკლული თავსახვევები წაიკრეს და თოხნას შეუდგნენ.

მიწა რბილი იყო, შავი, საამური.

თინას და ანულის თავსახვევები უხდებოდათ.

მე მარწყვს დავუწყე ძებნა, მაგრამ ამაოდ. ახლომახლო ფოთოლიც კი არ ჩანდა.

ის იყო პროკოფი თვალს მიეფარა და ტყიდან ჩექმებიანი ახალგაზრდა მეტყევე გამოვიდა. მხარიღლივ ორლულიანი (თოფი ჰქონდა გადაკიდებული, თავზე თუშური ქუდი ეხურა, რომელზედაც თითბრის ერთმანეთზე გადაჯვარედინებული მუხის ორი პაწაწინა ფოთოლი ეკეთა. მოდიოდა და იცინოდა. მოანათებდა თეთრ, მაგარ კბილებს.

— ეგრე, ლამაზო, თინა, — დაიწყო შორიდანვე, — ცოტა გატოკდი, თორემ მეტისმეტად დამძიმდები და ვინმემ რომ შენი მოტაცება მოინდომოს, ველარც კი მოგერევა.

თინამ ანულის რაღაცა გადაუჩურჩულა და მერე მეტყევეს მიუბრუნდა.

— თქვენისთანა ჩაჩულიებისათვის მე ეხლაც მძიმე ვარ.

— მე ვარ ჩაჩულია?!

— შენ არა, ცხვარიჭამია სოლიკო!

რევაზ ინანიშვილი

დაიბადა 1926 წელს, საგარეჯოს რ. სოფ. ხაშმში, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქარხანაში. 1947 წელს შევიდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1949 წელს წავიდა სამუშაოდ სამგორის სარწყაარხის მშენებლობაზე. 1952 წ. განაგრძო სწავლა უნივერსიტეტში და დამთავრა 1956 წ. პირველი წიგნი გამოვიდა 1953 წ. მეორე — „მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“ 1958 წ. მისი მოთხრობა „უკანასკნელ არდადეგებზე“ პრემირებულია ჟურნალ „დროშის“ კონკურსზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თქვენი თენგიზა ხომ გაგიკარი ზედ ფეხებთან დიდედის ლავაშივითა. ხომ გაგიკარი!

— თენგიზი შენზე უარესი ჩაჩულია.

— შენ რაღა ხარ ისეთი ვითომა, ჰა?

მეტყეველმ თოფი მოიხსნა და ბრიჩკას მიაყუდა. ხელმები დაიძრო, ხალათის სახელოები აიკაპიწა, კარტოფილში შევიდა და ანულის თოხს წასწვდა:

— ცოტა ხანს მათხოვე, ანული, ერთი ვაჩვენო — როგორი ბიჭი ვარ!

— ოხ, შენც რაღა!..

— მიყურე, აბა მიყურე!

ანულიმ თოხი მეტყეველს მისცა და თვითონ ხელებჩაშვებული, გარინდებული, გაღიმებული გაჩერდა.

თინა შედგა და მეტყეველს დამრიგებლურ კილოზე უთხრა:

— წადი, თორემ, ვიცი ფეხს მოიჭრი და ხათაბალა გახდები.

— ვინა, მე?

მეტყეველმ მიწას თოხი მოუსვა და გაგიყდა, მოუსვა და გაგიყდა. თოხი კრაზანასავით ტრიალებდა ჰაერში. წავიდოდა განზე, წავიდოდა, წავიდოდა და გადმოეშვებოდა თინასაკენ.

— როგორი ბიჭი ვარ, ჰა!

თინა შეჩერდებოდა, თავსახვევს გაისწორებდა და იცინოდა.

მწიფე თურაშაულივით ულვიოდა მკვრივი, მრგვალი ლოყები.

ანულიმ ცოტა ხანსაც უყურა და მერე ბრიჩკისაკენ წამოვიდა, ქოშები დაიხადა, მიწა დაბერტყა, ისევ ჩაიცვა და მეტყეველს და თინას გახედა. ისინი უკვე შორს წასულიყვნენ. თინა კისკისებდა. თოხს გაჩქარებით იქნევდა და კისკისებდა.

ანული თავქვეს დაჰყვა — თავდახრილი, ფეხის წვერებზე მზერით. უცებ მოტრიალდა:

— წავიდეთ იქით, აი იქით! მარწყვი იქ იქნება.

ხელი მომკიდა და გამაქცია.

— გამოიქეცი. აბა, თუ ბიჭი ხარ, გამოიქეცი.

მივრბოდით მუხლამდე ბალახებში, ნაპერწკლებივით ცვიოდნენ კალიები. ვსხლტებოდით, ვიქცეოდით, ისევ ვიმართებოდით და მივრბოდით. მივრბოდით მანამდე, სანამ ანულიც არ დაიღალა და გულზე ხელი არ მიიდო. გულზე ხელი მიიდო, მომიბრუნდა, გამიღიმა და მკითხა.

— დაიღალე?

არა-მეთქი.

— მაშ აბა კიდევ გავიქცეთ!

გულზე ხელი ჰქონდა მიდებული და ისე მირბოდა. მირბოდა მანამდე, სანამ ველი არ გათავდა და ფლატემ არ გადაუღობა გზა. იქ, ფლატის პირას, შედგა, ფეხის წვერებზე აიწია, აი ისე, როგორც მარმარილოს ქანდაკება იდგა სასაფლაოზე, თითქო გადახტომას აპირებსო... იდგა და ირხეოდა. მერე თავსახვევი მოიძრო, დაატრიალა ჰაერში, მაღლა, და თითქო ვიღაცას ესალმებაო ძირს, ხეობაში, — გაგრძელებულად გაბა:

— აუუ!..

მთებმა ძახილითვე უპასუხეს.

— აუუ!..

— აუუ! — ისევ იძახდა ანული და ისევ ატრიალებდა თავსახვევს ჰაერში.

— აუუ! — კვლავ პასუხობდნენ მთები.

მე ქვემოთ, ჯაგის ძირში ვიჯექი და იქიდან ვუყურებდი.

ის ციხეკიდურზე იდგა— მაღალი, ლარივით აგებული, მის მაღლა ნიავი აფრიალებდა თხელ თავსახვევს და მთებიდან ბრუნდებოდა შორეული ძახილი:

— აუუ!..

მე მაშინ პატარა ვიყავი...

მე მაშინ პატარა ვიყავი და კარგად აღარ მახსოვს, იყო ნამდვილად ასეთი რამაც თუ არა. მაგრამ ახლა მაინც მეჩვენება, რომ ჰაერი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ცისარტყელებით იყო სავსე, მთებიდან მობრუნებულ ძახილს ჰქონდა ფრთები, და ოგი მოდიოდა, თეთრი მტრედივით მოფარფატებდა ამ ცისარტყელების მაღალი, მაღალი თაღების ქვეშ.

უკანასკნელ არდადეგებზე

მე მაშინ უკანასკნელი არდადეგები მიმთავრდებოდა, ლელას ერთი კიდევ ჰქონდა წინ...

—

როგორც კი ავტობუსი ხის ტოტებში ჩამალული ელნათურებით განათებულ პატარა მოედანზე გაჩერდა, მე ის მაშინვე დავინახე. ვარდისფრად შეღებილ მაღალი სახლის მხრიდან მორბოდა, უკან ხელიხელ ჩაკიდებული ორი გოგონა მოსდევდა. გოგონები იცინოდნენ და რაღაცას ეძახდნენ. ლელა მიუბრუნდა, გაუწყრა, ისევ გამოიქცა. გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს, ჩუმად ჩაიცინეს და დაედევნენ შავ ქვაფენილზე თეთრი ფეხსაცმელების ოდნავი შეხებით, განზე გაწეული შიშველი მკლავების ქნევით.

ლელამ ავტობუსთან მოირბინა, ვიღაც უკან-უკან მიმავალ დამხდურს დაეჯახა, მოუბოდიშა, ახლა ჩემოდნებისთვის დახრილ ქალს გადააწყდა, თავი ძლივს შეიკავა, წამოყელყელავდა — ცალი ხელი მაღლა ჰქონდა აწეული, ცალითაც მხრებზე გადაცურებულ მარმაშის მანდილს იკავებდა.

ავტობუსში ბნელოდა, მე ხმას არ ვიღებდი და მთელი ორი წუთი ასე ვიყავით, ის — წამოყელყელავებული, დაფაციცებული, შეწუხებული. მე — გულაჩქროლებული, გაღიმებული.

ბოლოს დამინახა, ხალხი გამოარღვია, მომვარდა, ხელები დამიჭირა და თავი მხარზე მომადო. იმ წამსვე მისი თმების ნაცნობმა სურნელებამ დამკრა, დავიხარე და, საცა ის თმები იწყებოდა, თეთრ შუბლზე ვაკოცე.

არაფერი არ გვითქვამს, ისე გადავედით ტროტუარზე.

უცებ შეკრთა.

— ჩემი ბავშვები?

მისი ბავშვები თურმე იქვე ჩვენს უკან იდგნენ და შემოგვციცინებდნენ, იღიმებოდნენ, ერთმანეთს თითებს უმტვრევდნენ.

ლელა გაწითლდა, შუბლზე ხელი აისვა, გაიცინა.

— მოდით, ხელი ჩამოართვით! — უთხრა გოგონებს და ჩემზე ანიშნა.

გოგონები მოვიდნენ. ორივეს გრძელი, გრძელი, ბავშვური მკლავები ჰქონდათ.

—ია და მზია!

მათ შესახებ, ლელას უმცროსი დების შესახებ, ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ მე ისინი პატარა, პაწაწინა კუდრაჭა გოგონებად მყავდა წარმოდგენილი.

— რის პაწაწინები! ჩემზე მეტად ესენი ქალიშვილობენ! — მომიგო ლელამ

და გოგონებს ხელი მოხვია. — ხომ კარგები არიან არა, ჯარჯო! ია და მზია! ხომ კარგები არიან?

გოგონებმა საყვედურით ახედეს და ერთმანეთს ამოეფარნენ.

ისინი მართლა კარგები იყვნენ — ია და მზია!

— შენ პირველადა ხარ ჩვენს ქალაქში, არა?

— პირველად.

— მაშ აბა, თუმცა... ეხლა უკვე ღამეა. დათვალიერებას მერეც მოვასწრებთ. აბა ღრმად ჩაისუნთქე, აი ასე, როგორი ჰაერია, ჰა?

ლელამ გულზე ხელი დაიდო და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა — გაღიმებულმა, თვალებმილულულმა.

— როგორი ჰაერია? მთებზე თოვლი დევს, გაიხედე!

— ავტობუსიდან სულ მაგ თოვლს ვუყურებდი. ის რა არის?

— არაფერი. საპარაშუტო კოშკი, თუ რაღაც ასეთი. აი, მილიციონერი რომ გადადის, ხომ ხედავ, იქ ჩვენი ქუჩა იწყება. ჩვენი ლამაზი ქუჩა. იცი, რა კარგია, ჯარჯო? ძველებური სახლები, ფიცრული მესერები, ზედ ვარდები, ასე — გადმოკიდებული. ია, რას ეშმაკობთ?

იამ და მზიამ ტუჩები მაგრად მოკუმეს და ჩაშავებულ ცას შეაჩერდნენ.



მივდიოდით რიყის ქვით მოკირწყლულ სველ ადმართზე, ქვებშორის ბალახები იყო ამოსული, ბალახებზე ნამი ბრწყინავდა.

— სამი დღეა სულ წვიმს და წვიმს. დღეს, იცოდა რომ შენ უნდა ჩამოსულიყავი და გამოიდარა. მომეცი, საწვიმარს მაინც მე წამოგიღებ.

— მე მომეცით, რა? — წამოიწია მზიამაც.

— იყოს, რას მიშლის.

— მომეცით რა. იცით როგორ მიყვარს, როცა ასეთი რამე მიკავია ხელში?!

— მეტიჩარა! — გასწია იამ.

— მომეცით რა!

საწვიმარი მზიამ გამომართვა. მზიას ია წასწვდა, გასწიეს, გამოსწიეს.

— რას სულელობთ, სულ არ გახიოთ! — სიცილით გაუწყრა ლელა.

გოგონებმა დაირცხვინეს და რამდენიმე ნაბიჯით ჩამოგვრჩნენ.

იმ ადგილას მივედით, სადაც წეღან მილიციონერმა გადაიარა.

— ესეც ჩვენი ქუჩა. აი, ბოძზე რომ სინათლე ანთია... იქით კაკლის ხე ჩანს შავად. იმ კაკლის ხის აქეთ ჩვენი სახლია. ჩვენი დედიკო გველოდება. თვითონაც უნდა წამოსულიყო, მაგრამ ერთი ნათესავი ქალი ეწვია და... აჰ!

—შეხედე, აი ის სამი განათებული ფანჯარა რომ არის, იქ ქეთინო ცხოვრობს. გუშინწინ თბილისში წამოვიდა, თორემ დღეს ისიც დაგხვდებოდა. რა სულელი გოგოა, იცი? გიცნობს. სულ გიცნობს.

კაკლის ხეს რომ მივუახლოვდით ია და მზია წინ გაიქცნენ.

— მოიცათ! — დაიძახა ლელამ, მაგრამ გოგონებმა არ გაუგონეს, მწვანე ალაყაფს მიაწყდნენ, თითქმის შეანგრიეს და შიგნით გადაცვივდნენ. ეზოში ფინია აწკავწკავდა. სადღაც ნათურა აინთო. ალაყაფისაკენ მომავალი აგურებით მოკირწყლულ ბილიკზე ლელას დედა ჩამოვიდა.

— ესეც ჩვენი საყვარელი დედიკო! — გააგრძელა ლელამ, კარი ფართოდ გამიღო, გამაჩერა, თავი გვერდზე გადასწია და დაბინდული თვალებით გახედა, — ხომ კარგი დედიკო მყავს, ჯარჯო! ხომ საოცრად კარგი დედიკო მყავს?

დედას თხელი შალის მჭიდროდ შემოკვართული რუხი კაბა ეცვა, თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, ძლიერი ფეხებით პატარა, მტკიცე ნაბიჯებს მოადგამდა.

ლელას სიტყვებზე გაეღიმა, ნაბიჯი აერია, ალერსიანი საყვედურით შეხედა, ხელი გამომიწოდა და დაბალი, სასიამოვნო ხმით მითხრა.

— ლელამ, ალბათ, უკვე დაგღალათ — იმდენჯერ გეტყოდათ ჩემი კარგი ეს, ჩემი კარგი ის, ჩემი კარგი...

ლელა მოეხვია, გასწორდა, ფეხის წვერებზე აიწია.

— განა ტყუილს ვამბობ? აბა შემოგვხედე, ხომ დებს ვგავართ, ნუ გრცხვენია, თქვი, ხომ დებს ვგავართ?

ისინი მართლაც დებს გვანდნენ და მე არ შემრცხვენია, როდესაც ეს ვთქვი.

დედამ გაიცინა, ლელას ხელი გააშვებინა:

— კარგი, შვილო, გეყოფა! სტუმარი აქ ხომ არ უნდა გეყენოს ამაღამ.

— ხომ იდგები, ჯარჯო?

მე ასე ვიდგებოდი თუნდაც ათ წელიწადს, მაგრამ ეს უკვე აღარ მითქვამს.

ლელა ჩამეჭიდა, გამწია:

— წავიდეთ, თორემ დედას უკვე ეშინია, რომ გავცივდებით.

ია და მზია მოაჯირთან მომდგარიყვნენ და ცმუკავდნენ.

— ჭინკებს არ გვანან?

— მშვენიერი გოგონები არიან.

— ხომ კი?

დაბალი ქვის კიბე ავირბინეთ და აივანზე ავედით. ლელა წინ გაიქცა და მინებიანი მაღალი კარი ზრიალით შეაღო.

— ეს ოთახი მთლიანად შენს განკარგულებაში იქნება. საწოლი ფანჯარასთან დგას, თუ გაციებისა გეშინია, აქეთ გადმოვდგათ. ეს შუქფარი ასე ინთება, ნახე! ცოტა მოშლილია, დენმა არ დაგკრას, ვარსკვლავა უკვავილები ხომ გიყვარს? აი იქ ონკანია, შეგიძლია ხელ-პირი დაიბანო და ისე გამობრძანდე სა-დარ-ბაზოდ! ხო. ხანდახან რომელიმე ბავშვი როიალზე დაკვრის უფლებას გთხოვს. შეგიძლია არც მისცე.

ჩემოდანი ძირს დავდგი. უნებურად უკან მივიხედე. ოთახში მარტო ჩვენ ვიყავით, და როცა ისევ მისკენ მივბრუნდი, მის თვალებში პაწაწინა შიში წავიკითხე. ხელი არ გამინძრევია, მაგრამ მან მაინც თითი ტუჩთან მიიტანა და შერე გააქნია.

ხმამაღლა კი ეს თქვა.

— ეხლა ცოტა ხანით დაგტოვებთ. მოეწყე, როგორც მოხერხებულად მოგეჩვენოს. აბა, ჯერჯერობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გრძელი, ლამაზი ხელი ზეასწია და კარი გაიხურა.

იატაკს სარკესავით გაჰქონდა კრიალი. ძველებურ, მრგვალ, მოჩუქურთმებულ მაგიდაზე მწვანე სუფრა იყო გადაფარებული, ზედ ბროლის პირგანიერი ლარნაკი იდგა, ლარნაკში სხვადასხვა ფერის ვარსკვლავა ყვავილები ეწყო. ვიცოდი, რომ ვარსკვლავა ყვავილებს სუნი არ ჰქონდა, მაგრამ ერთი ცალი მაინც ამოვიღე და დავყნოსე.

მერე გამახსენდა, რომ მიცდიდნენ. ჩემოდანში სასაპნე მოვძებნე, ონკანზე ხელ-პირი დავიბანე, პერანგი გამოვიცვალე, თმა დავივარცხნე და გავედი.

ლელა აივანზე დამხვდა.

— მოგწონს ჩვენი ბაღი? აგერ ის დიდი — თუთაა. ცერის სიმსხო თეთრი თუთა.

— თუ მხოლოდ შენი ცერის სიმსხოა, მაინცდამაინც დიდად არ ყოფილა საქები.

ლელამ ხელი გამოშალა, დახედა, გაიცინა და მერე ზურგს უკან ამოიფარა.

— შენი ცერის სიმსხო! რანაირი ხარ, იცი?

ხელი ჩამოუშვა და ისევ დახედა, ისევ გაეცინა, თითები გაფაჩრჩა და აათამაშა.

— რა, ცუდი ხელები მაქვს, ჯარჯო?

მარჯვენა ხელი დავუჭირე, უკან მიიხედა, გაწითლდა.

— კარგი, მეტკინა. — თქვა ჩუმად, მერე ხმამაღლა: — თუთის იქით რომ დგას, მაღალი — ბალია. გინახავს როგორი ლამაზია ბალი შემოდგომაზე? აბრეშუმივით თხელი, გამჭვირვალე ყვითელი ფოთლები აქვს, სულ ყვითელი, ადრეც ყვითლდება და სხვა ხეებს შორის უზარმაზარ სანთელივით დგას. ეს სულ თითა ყურძენია.

რკინის ბოძებზე გადაყვანილი დიდი თალარი აივნის შუბლის ხესთან იწყებოდა და შორს, ბაღის სილრმისკენ მიდიოდა. ყურძენი შეთვალულიყო. თალარქვეშ მაგიდა და სკამები იყო გამართული.

— როცა ძალიან ცხელა, აქ ვსადილობთ ხოლმე. აქეთ-იქიდან სულ ყვავილებია. ეს მაღლები ხომ იცი — გეორგინები, აი იქითები — ლომისპირები, აქით — ქრიზანტემები, ვარსკვლავები. ცარდს ხედავ? ყვავის.

ია და მზიაც გარეთ გამოსულიყვნენ.

— ყველაფერს ჩვენ ვუვლით. ვაზის გარდა. ვაზს ბიძაჩემი სხლავს და სწამლავს. ბილიკის იქით იას და მზიას ნაკვეთია, ბილიკის აქეთ — დედიკოსი და ჩემი. ჩვენი ხომ უკეთესია, ჰა, ჯარჯო, ჩვენი ხომ უკეთესია?

— მააშ! — თქვა იამ.

— ორივე კარგია, — ვთქვი სიცილით და იმ წუთში მივხვდი, რომ არც ერთმა არ დამიჯერა.

ბაღიდან სიგრილე ამოდიოდა, ბაღის ბოლოში, მაღლა, ნიავი აშრიალებდა ალვის ხეების კენწეროებს.

დედა გამოვიდა.

— შინ შემოდით, შვილო, ნაწვიმარია, არ შეგცივდეთ.

— აი, უკვე! — თქვა ლელამ, გაიცინა, ხელი მომკიდა და წამიყვანა.

ამ ოთახს ცისფერი ჭაღი ანათებდა და ჭაღის ქვეშ პატარა, ლამაზი სუფრა იყო გაწყობილი.

— საით გირჩევნია, რომ დაჯდე?

— სულ ერთია.

— განა ადგილის აჩემება არ იცი? ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი ადგილი გვაქვს. აქ დედიკო ზის ხოლმე, აქ — მე, იქ — ია, იქ — მზია. შენ? შენთვის რომ აღარა გვაქვს ადგილი? შენ — ბანზე.

— რა სიტყვებს ამბობ, შვილო!

ლელამ გაიცინა.

— არა, დედიკო, ჯარჯის არ ეწყინება, ჯარჯო, შენ აქ დაჯექი, ჩემს ადგილზე, მე აი აქ, შენს გვერდით. აბა დასხედით, მზია! რომელი საათია? ხო, ეხლა რიხტერი დაუკრავს. ეხ, აი უკვე. ასე, ხმადაბლა იყოს ხომ?

ბოლოს ლელაც დაჯდა.

დედა დაგვტრიალებდა თავს, ისიც შემოგვიერთდა.

ოთხივეს ცისფერი ალერსიანი, სიხარულით გაბრწყინებული თვალები ჰქონდა. ალერსებდნენ ერთმანეთს, ალერსით შემომყურებდნენ მეც. და მე მივხვდი, რომ ყველამ იცოდა, ვინ ვიყავი და რისთვის ვიყავი ჩამოსული.

საუბარი კი სასხვათაშორისო გვქონდა.

— ძალიან გაიტანჯებოდით ავტობუსში, — მითხრა დედამ, — საშინელებაა ჩვენი ავტობუსით მგზავრობა. ჩვენ ვერც ერთი ვერ ვიტანთ. ისევ მატარებელს ვამჯობინებთ, თუმცა მატარებელი ორჯერ მეტ ხანს უნდება აქ ჩამოსვლას.

როდესაც ის ამას ამბობდა, დანის ტარით მაგიდის კიდეზე იყო დაყრდნობილი და მოკლედ შეკრეჭილი თმის ერთი ჭავლი მარცხენა წარბთან უთამაშებდა.

მე მივუგე, რომ ავტობუსში არ შევწუხებულვარ, რომ მე ყოველგვარ მგზავრობას ადვილად ვიტან და აქ ფეხითაც კი შემეძლო ჩამოსვლა.

— რას ამბობთ! — გაიკვირვა დედამ, — იცით რამდენი კილომეტრია თბილისიდან? ორასამდე.

წითელი სასიამონვო ღვინით მივსებდნენ ბროლის სქელ ჭიქას და მასმევდნენ. თვითონ ოდნავ აკარებდნენ ტუჩებს თავიანთ ჭიქებს, მე კი მაძალებდნენ და მასმევდნენ.

მე ვსვამდი და თვალს ვეღარ ვაცილებდი ვერც ერთს. ია და მზია ფისუნებივით იყურებოდნენ დანა-ჩანგლის ზემოდან. ლელა ქათმის საწიწკნარას აწვალებდა და გამოცდების ამბებს ყვებოდა — სიცილით, ფეხის ბაკუნით. დედა კი მალ-მალე ახსენებდა — ასე როგორ შეიძლება, შვილო.

მერე ჩემს ოთახში ვისხედით. მე ვიჯექი მორჩილად და ნეტარებით ვაბოლებდი საგანგებოდ ნაყიდ ძვირფას პაპიროსს „მზიურ საქართველოს". ია უკრავდა როიალზე — თავგამეტებით, ტუჩების კვნეტით, მხრების თახთახით. ლელა მუშაში იგროვებდა ჩემს თმას და მარწმუნებდა, რომ საოცრად მომიხდებოდა მზიას ბაფთა, მზია კრუტუნით გვივლიდა გარს, დედა მეასეჯერ ეუბნებოდა ლელას — ასე როგორ შეიძლება, შვილო.

და არ ვიცი — ღვინის ბრალი იყო. ცისფერი ჭაღის ბრალი იყო, უჩვეულოდ წყნარი ღამის ბრალი იყო, თუ მხოლოდ იმისა, რომ ოცდამესამე წელიწადი მისრულდებოდა — მეჩვენებოდა, რომ სადღაც ჩემს გზას ავცდი, წავედი შორს და წავაწყდი ზღაპრულ მღვიმეს, სადაც ყველაფერი წმიდა, სათუთი ბროლისა და ფირუზისაგან იყო ნაკეთები, და საკმარისი იყო ხელი ოდნავ მოუზომლად გამეჭნია, დაიმსხვრეოდა, გაქრებოდა ყველაფერი.

ვიჯექი მორჩილად, ვაბოლებდი საგანგებოდ ნაყიდ ძვირფას პაპიროსს „მზიურ საქართველოს" და ვიყავი კარგი, ლამაზი, კეთილი, ბედნიერი.

ორი დღის შემდეგ უკანასკნელი არდადეგები მიმთავრდებოდა. ლელას ერთი არდადეგები კიდევ ჰქონდა წინ...

ნამგალა მთვარე ამოსულიყო ბაღის ბოლოზე, ალვის ხეების კენწეროებს შორის. მამლები ყიოდნენ სადღაც შორს — წყნარად, გაგრძელებულად...



დიდი მეცნიერის ლაბორატორიაში

მერაბ მელითაური

როდესაც კათედრასთან აჩქარებული ნაბიჯით ტანმორჩილი, მაგრამ მხნე მოხუცი მივიდა, ახალგაზრდული ღიმილით და თითქოს რაღაც გამოწვევით გადახედა დარბაზს, ისეთი ტაშისცემა ატყდა, გეგონებოდათ ზღვიდან მოვარდნილი ქარიშხალი შემოიჭრა აკადემიური დუმილით მოცულ დარბაზში. მოხუცი კი თითქმის გაკვირვებით უცქერდა მისდამი პატივისცემის ამ გამოხატულებას, მერე თავის დაკვრით მადლობა გადაუხადა და იმ საქმიანი ხმით, რომელსაც ასე კარგად იცნობენ ათასობით მისი ნამოწაფარები და მთელი მსოფლიოს ფიზიოლოგები, დაიწყო საუბარი საკითხზე, რომელიც აგერ რამდენი წელია მისი კვლევის საგანს შეადგენს.

იგი ლაპარაკობდა ადამიანის ნერვული სისტემის „ცენტრალური შეკავების“ მექანიზმზე. ლაპარაკობდა სადად და უბრალოდ, თუმცა საუბრის საგანი ადამიანის ნერვული სისტემის ურთულესი გამოკვლევების შედეგი იყო, ხოლო დარბაზში თავი მოეყარათ გამოჩენილ ფიზიოლოგებს.

ეს იყო შარშან, აგვისტოში, არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც შეიკრიბა საერთაშორისო ფიზიოლოგთა კონგრესის XXI სესია...

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილს 75 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი თანხვდა მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავს. ყოველი წელი ამ ნახევარი საუკუნის დაუღალავი შრომისა დიდი მეცნიერის შემოქმედებითი - გაფურჩქვნის წელი იყო. დაწყებული იმ დღიდან, როდესაც მან, მესამე კურსის სტუდენტმა (ეს იყო 1909 წელს) დაიწყო მუშაობა პროფესორ ნ. ვედენსკის ლაბორატორიაში, მთელი ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში იგი „სრული დატვირთვით“ მუშაობდა, შეუნელებელი ენერგიით, მიზანმისწრაფებულად და დაუღალავად.

ივანე ბერიტაშვილის მეცნიერული ინტერესები მეტად ვრცელია, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც მთელი ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში მის ყურადღებას იზიდავდნენ. და სწორედ ეს „შეკავების პროცესი“, რომლის მექანიზმის ამოხსნას მეცნიერმა მრავალი წელი მოანდომა, რომლის შესახებ ესაუბრებოდა იგი საერთაშორისო კონგრესის წევრებს ბუენოს-აირესში და რომელიც ახლაც მისსა და მის მოწაფეთა ყურადღების ცენტრშია, ივ. ბერიტაშვილის ერთ-ერთი პირველი შრომის საგანს შეადგენდა.

ამ საკითხმა მიიზიდა ახალგაზრდა მეცნიერის ყურადღება სამეცნიერო გზის დასაწყისში, როდესაც მან სრულიად ახალი სახის კვლევის იარაღი — „სიმებიანი გალვანომეტრი“ გამოიყენა და აკადემიკოს ა. უხტომსკის თქმით — „შეიქმნა სახელი ფიზიოლოგიის ისტორიაში“.

ამ საკითხს მეცნიერი შემდეგშიაც, ოცდაათიან წლებში, დაუბრუნდა, ხოლო ახლა, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში უკვე „ფართო ფრონტით“ — თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებთან ერთად აგვირგვინებს.

და აი, ჩვენ დიდი ქართველი ფიზიოლოგის, მრავალ აკადემიათა და სამეცნიერო საზოგადოებათა წევრის, სახელმოხვეჭილი მეცნიერის ლაბორატორიაში ვართ.

— რაზე მუშაობთ ახლა?

ოდნავ გაღიმებული თვალებით, — მეცნიერი ხელს შლის, თითქოს არ იცის რითი დაიწყოს, — მის წინ სამუშაო მაგიდაზე მრავალი ჟურნალი და წიგნია.

აი სწორედ ახლა მოიტანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობიდან ახალი შრომა „უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა სივრცითი ორიენტაციის ნერვული მექანიზმები“. ახლახანვე მოსკოვში, სამედიცინო გამომცემლობამ გამოუშვა ივ. ბერიტაშვილის ვრცელი მონოგრაფიის „კუნთების ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგიის“ პირველი ტომი. ახლა მეცნიერი ამ მონოგრაფიის მეორე ტომს ამზადებს გამოსაცემად.

— სექტემბერში ბოსტონის სამედიცინო გამომცემლობამ (ამერიკის შეერთებული შტატები) უნდა ჩავაბარო აი ეს დიდი წიგნი „უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის ნერვული მექანიზმები“. ახლა დავამთავრე წერილი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მოამბისათვის „ნათხემის როლის შესახებ სივრცით ორიენტაციაში“. იგი შეიცავს ზოგიერთ დასკვნას იმ მუშაობიდან, რომელსაც რამდენიმე წელია ეწევა მეცნიერი. ეს დიდი პრობლემა — „უმაღლეს ცხოველთა სივრცითი ორიენტაციის ნერვული მექანიზმი“ — მიზნად ისახავს გამოარკვიოს, თუ როგორ ახერხებენ ცხოველები და ადამიანები ორიენტაციას სივრცეში და ნერვულ სისტემის რომელ ცენტრს აქვს არსებითი მნიშვნელობა ამ ორიენტაციის წარმოქმნაში.

აღმოჩნდა, მაგალითად, რომ ბგერის წყაროს მიმართულების ლოკალიზაცია დამოკიდებულია ძირითადად ტვინის ქერქზე, მაგრამ იგი ვერ შეასრულებს ამ ფუნქციას, თუ ნათხემი არ დაეხმარა.

ახლა ივანე ბერიტაშვილის ლაბორატორიაში იკვლევენ იმას, თუ ნათხემის რომელი ნაწილი ასრულებს ამ ფუნქციას. ეს შრომა მრავალ ექსპერიმენტს მოითხოვს.

— თუ შეიძლება დავესწროთ თქვენ ცდებს?

— რასაკვირველია...

სწორედ ამ დროს ლაბორანტმა ვიოლა გასიშვილმა შემოიხედა.

— „ცუგა“ მზადაა ცდისათვის.

ცდის მიზანია გამოვარკვიოთ, თუ რა როლი აქვს ძაღლის სივრცით ორიენტაციაში ნათხემის იმ ნაწილს, რომელიც ცუგას ხელოვნურად აქვს დაზიანებული.

აკადემიკოსი წერს ცდების ჟურნალში:

— 4 ს. 26 წუთი...

და იწყება ცდა, ერთი იმ ასეულ თუ ათასეულ ცდათაგანი, რომლებზედაც დაყრდნობით, შემდეგში ივ. ბერიტაშვილი ააგებს ვრცელ თეორიულ განზოგადებას.

დაძაბულად მიდის წუთები, და ცუგასაც თითქოს ესმის თავისი „მუშაობის“ მნიშვნელობა. საქმიანად და ერთგულად ასრულებს ყველა დავალებას.

— ჩვენი კინოსურათი არ გინახავთ? — ყველა ცდას ივ. ბერიტაშვილი ფირზე იღებს, ამისათვის მას უნივერსიტეტის ლაბორატორიაში საგანგებო „კინოსტუდია“ აქვს მოწყობილი, რომლის გამოშვებული კინოსურათები უნახავთ მსოფლიოს მრავალი ქალაქის ფიზიოლოგებს.

ივ. ბერიტაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას; სწორედ ამ მიზნით მან 1949 წელს წამოიწყო ეგრეთ წოდებული „გაგრის საუბრები“. გაგრაში, შემოდგომის თვეებში იკრიბებიან რაიმე გარკვეული საკითხით დაინტერესებული ფიზიოლოგები და აწყობენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. აგერ კარადაში ამ შესანიშნავი სამეცნიერო შეკრების შედეგებიც — „გაგრის საუბრების“ სქელი ფოლიანტები.

უახლოესი „გაგრის საუბარი“ 1961 წელს შესდგება. მისი თემაა „ბადისებრი წარმონაქმნისა და ქერქშუა ურთიერთ მოქმედება“.

მაგრამ დიდი მეცნიერი არ ივიწყებს არასპეციალისტებსაც:

— ვემზადები გურჯაანის რაიონში მოხსენების წასაკითხად უკანასკნელი შრომების შესახებ...

— აი ამ კინოსურათსაც ვაჩვენებ ჩემ საშობლო სოფლის — ვეჯინის პიონერებს...

სწორედ იმ სურათზე გვითხრა, რომელსაც ამ რამდენიმე თვის წინათ ბუენოს-აირესში აჩვენებდა ფიზიოლოგთა კონგრესზე.

ამ დიდ მეცნიერს ერთნაირად ემარჯვება განსწავლულ კოლეგებთან და ჯერ ცოდნის კართან მყოფ ახალგაზრდებთან საუბარი, თავისი დიდი ცოდნის გაზიარება და მეცნიერების საწყისების გაცნობა.

დაუშრეტელი ახალგაზრდული ენერგიით შრომობს დიდი საბჭოთა ფიზიოლოგი, აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი და სულ ახალი და ახალი აღმოჩენებით ამდიდრებს მშობლიურ მეცნიერებას.





ს. ჩახოიანი — რუსთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ XX ყრილობის დღეებში სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია 150 მხატვრის 450-მდე ნაწარმოები. ამ გამოფენამ, რომელიც მნახველთა დიდ ინტერესს იმსახურებს, ნათლად დაგვანახა ქართულ საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების აღმავლობა და გამოავლინა ახალგაზრდა მხატვართა ნიჭიერი თაობა.

ვათავსებთ რამოდენიმე ექსპონატს ამ გამოფენიდან.

თ. მირზაშვილი — სკოლის ეზოში



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. იაშვილი
კერამიკული სასმისი

ა. გორგაძე
რუსთავის მეტალურგები



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. ერისთავი
კალათბურთელები

რ. თარხ'ან-მოურავი
ლახტი

გ. კორძახია
ქალიშვილი

ლ. ძაძამიძე — პეიზაჟი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. დურგლიშვილი — ნატურ-მორტი

ვ. ონიანი — ხალდეველები

ზ. წერეთელი — გადარბენა

აჭარის მთებში

პირველი მოველ, პირველად გხედავ
ამ მწვერვალებსა, ამ მწვანე მდელოს,
რა წარმტაცია ყოველი ხედი,
რა მდიდარი ხარ, შენ, საქართველოვ!

წინ მანძილია ვრცელი, ულევი,
ვისწრაფვითა, ვჩქარობთ, ქარივით მივქრით,
გზები მიხვეულ-მოხვეულები,
დაუნდობელი, ვით ქალის ფიქრი.

ამ ცივ კლდეების თითო ნატეხი
მშობლიურია, ჩემთვის ნაცნობი,
თითქოს ამ მთებში ამიდგამს ფეხი
და ბავშვობაში მეც აქ ვანცობდი.

ვნანობ, რომ ჩემი ცხოვრების გზები
ისე გავცვითე, ისე გავლიე,
თქვენზე არ ვწერდი ლექსებს აღგზნებით,
თქვენი ჩანჩქერი რომ ვერ დავლიე.

აჭარის მთებო! არ დამემდუროთ,
ჩემს დანაშაულს გამოვისყიდი,
ახლა მეც მიყვარს ცხოვრება მყუდრო
და მკვიდრი როგორც თამარის ხიდი.

აწმყო ძველ ნაშენს როდი დაანგრევს,
მოგონებაშიც ყველა აღსდგება,
და ძველი ციხე, ძველი სიმაგრე
ლექსის საძირკვლად გამომადგება.

თქვენი თვალები სხვას მაგონებენ

რად განმეორდა აქ ძველი დარდი?
გული ფრიალებს ვით ზღვაზე აფრა...
ზღვის ტალღა იყო, თუ ცის ლაქვარდი,
თქვენს ლურჯ თვალებში რომ ჩამესაფრა?

ისევ რკინის გზა და ვაგონები...
კვლავ ძველი დარდი გადამეღობა.
თქვენი თვალები სხვას მაგონებენ—
დაკარგულსა და ერთგულ მეგობარს.

ცხოვრების გზები მქონდა ხვეული.
მე უნებლიეთ ბევრი ვიცადე.
მაინც მადლობა—შორს გაქცეული
ახალგაზრდობა რომ განვიცადე.

ჩემი გულის გამოცდა იყო

ზღვამ ვერ დამღალა, ჩემი გული ხომ
უფრო მღელვარე და სათუთია,
იმასაც ვიგრძნობ, სხვა რას გულისხმობს,
თუ ვინმემ ფიქრებს ღამე უთია.

ვერ მაჯობებენ ეს მწვერვალები,
ჩემი სული ხომ მხნე, მაღალია,
კვლავ სიხარული ჩადგა თვალებში
და სიბერისთვის ჯერ არ მცალია.

ჩემი განცდებიც ცვალებადია:
გულის უჯრები თითქოს გაიღო;
მხოლოდ ერთი რამ ჩემთვის ცხადია—
ეს ჩემი გულის გამოცდა იყო.

და როცა, დებო, მაინც მოვკვდები,
დადგება ჟამი აღსასრულისა,
კულში გამყვება ოქროს ზოდები
დაუხარჯავი სიყვარულისა.

ქართული მილიცია მოსკოვში 1917 წლის თებერვლის დღეებში

ჩვენს წინაა მეტად საყურადღებო და საინტერესო ფოტოსურათი — ქართველ სტუდენტთა მილიცია 1917 წლის თებერვალში ქალაქ მოსკოვში. ამ სურათზე გამოსახული არიან შემდეგი პირები: პოეტი ი. მჭედლიშვილი, ე. მირიანაშვილი, აგრონომი კანდელაკი, ცნობილი ბოლშევიკი კ. გობეჯიშვილი, ნ. აბაშიძე, ნადარეიშვილი, ბ. ჟღენტი, გაჩეჩილაძე, მ. ჩხეიძე, ჩომახიძე, გრ. გაბუნია, ვლ. ფანიაშვილი, ბრეგაძე, ნ. აბესაძე, დოცენტი გვარამია, კ. ასათიანი, ფანცხავა, მარუაშვილი, იაშვილი, თ. ჩიქოვანი, აღნიაშვილი, ლორთქიფანიძე, მ. ბერიძე, ვ. ბრეგაძე, დ. იაშვილი, ლ. კვეზერელი-კოპაძე, ვერულაშვილი, სუმბათაშვილი და სხვები. რამდენიმე მათგანს ჩვენ ვესაუბრეთ: კ. ლორთქიფანიძეს, ბიჭიკო ჟღენტს, მ. ჩხეიძეს. ვკითხეთ მილიციის ჩამოყალიბების და საქმიანობის შესახებ.

ამ მილიციის უშუალო ხელმძღვანელმა მ. მ. ჩხეიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა:

„ქართველი სტუდენტების დიდი ნაწილი მეფის თვითმპყრობელობის დამხობას აღტაცებით შევხვდით. ამ პერიოდში მოსკოვში იმყოფებოდა დიდძალი ქართველი სტუდენტობა. აქ დაარსებული იყო სტუდენტთა სათვისტომო, სადაც ხშირად ეწყობოდა საღამოები.

ქართველ სტუდენტთა ერთი ნაწილი უშუალო მონაწილეობას იღებდა რევოლუციაში.

რეაქციონერები აგროვებდნენ იარაღს კრემლის ერთ-ერთ დარბაზში. საჭირო იყო ამ იარაღის ხელში ჩაგდება და რევოლუციის მიზნებისათვის გამოყენება. ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩვენ, ქართველი სტუდენტები, ერთ დღეს შევედით კრემლის დარბაზში, სადაც დაგროვილი იყო დიდძალი იარაღი. იქ მყოფთ გამოვუცხადეთ, რომ იარაღი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს რევოლუციურ პარტიას. დარბაზი დატოვა ყველა შავრაზმელმა და რეაქციონერმა.

მე, მიხეილ ჩხეიძემ ქართველ სტუდენტებთან: ბიჭიკო ჟღენტთან, გობეჯიშვილთან, ა. კანდელაკთან ნ. ლორთქიფანიძესთან, ი. მჭედლიშვილთან ერთად ვიკისრეთ იარაღის მიღება და სათანადო დავთარში გატარება, ამავე დროს ამხანაგებს დავალათ შეეტყობინებიათ მოსკოვში მყოფ სტუდენტებისათვის, რომ სასწრაფოდ მოსულიყვნენ შესაიარაღებლად, რათა ქალაქში შავრაზმელთა და რეაქციონერთა თარეშის აღსაკვეთად შეგვექმნა დროებითი მილიცია. მართლაც, სულ მოკლე ხანში სტუდენტები დაიყვნენ 10-10 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ყოველგვარი იარაღით. ასე შეიქმნა ქართული მილიცია მოსკოვში. მეორე დღეს ქართული მილიცია უნდა გამოცხადებულიყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტში დანიშნული დროისათვის. იქ დიდძალმა შეიარაღებულმა სტუდენტობამ მოიყარა თავი. ამის შემდეგ მილიცია მიწვეული იქნა „მეტროპოლის“ შენობასთან, სადაც მოთავსებული იყო ქალაქის რევოლუციური კომიტეტი. ქალაქის კომიტეტისაგან ჩვენ, ქართულმა მილიციამ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მივიღეთ შენობა, გნეზდიკოვის ქუჩაზე, სადაც ადრე მეფის მთავრობას ჰქონდა საიდუმლო განყოფილება. შენობა მთლიანად გადმოვიდა ჩვენს ხელში. აგრეთვე, დამატებით გადმოგვცეს იარაღი, მკლავზე გასაკეთებელი ნიშნები, რომელზედაც აღნიშნული იყო **M. H. M.—„Московская Народная Милиция“**. ამასთანავე თვითეულ მილიციონერს დაურიგდა პირადობის მოწმობა. ჯამაგირის სახით მათ ეძლეოდათ დღეში 1-მანეთიდან 3-მანეთამდე.

ჩვენ დავალებული გვქონდა შავრაზმელებისა და კონტრრევოლუციონერების დაპატიმრება. დავაპატიმრეთ ყოფილი ქალაქის უფროსი გროზდოვი, შავრაზმელი მარტინოვი, რომელსაც მივუჩინეთ სიმონ ხუნდაძე, როგორც კარგი და საიმედო მილიციელი. გავჩხრიკეთ შავრაზმელის მიტროპოლიტ ვოსტორგოვის ბინა, სადაც აღმოვაჩინეთ შავრაზმული ლიტერატურა — და ყუთები შავრაზმული ნიშნებით, აგრეთვე, საპროპაგანდო ლიტერატურა (ეს ყუთები ჩვენმა მილიციამ წამოიღო და დაწვა). არქიფო კანდელაკმა და ნიკოლოზ აბაშიძემ დააპატიმრეს პრისტავი. ბიჭიკო ჟღენტს მიღებული ჰქონდა სპეციალური მოწმობა, რომლის ძალითაც მას შეეძლო ყველასათვის ჩამოერთმია ყოველნაირი იარაღი. ბოლშევიკ ლაზარევის დავალებით მან მოსკოვიდან პეტერბურგში გაგზავნა დიდძალი იარაღი რევოლუციონერთა დასახმარებლად. ეს იარაღი დაგროვილი იქნა საპოლიციო უბნების აღების დროს. ქართულ მილიციას კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ დროებითმა მთავრობამ საბჭოების ნება-სურვილის აღმასრულებელი ქართული მილიცია დაშალა. მიუხედავად ამისა, მარტო ფაქტიც 1917 წლის რევოლუციის პერიოდში მოსკოვში ქართული მილიციის არსებობისა, საყურადღებო და საგულისხმოა.

ზოთა ბანთაძე,
თენგიზ ჩხეიძე.

ბორის ლასკინი

ვერონიკა პორტიშინამ, ხომ არ იცნობთ შემთხვევითო? არც ალსტროს გინახავთ? გაგაცნოთ? თუმცა არა, არა ღირს, უკეთ დაგაგვიანდათ, ყმაწვილო, მისი გაცნობა. მე მხოლოდ დაგანახებენ მას. ალი იგი ხის ბაღში, ბერსზე, ფეკეს ულან. ახლოდან ეტყვიან ფეხადგილ ნე შენბრეფენთან.

ხომ ლამაზი გოგონაა? შეამჩნიეთ, მიაქციეთ ყურადღება, როგორი ღიმილი აქვს?

ზოგ ადამიანს ძალიან უყვარს უმიზეზოდ მოღუშვა. ეს, რასაკვირველია მეფიდეტორიზმი მოსდის, პირიქითაც ხდება, ზოგი ადამიანი ეკითხი ღიმილს გარეშე ერთ დღესაც ვერ ცოცხლობს. იმიტომ კი არა, რომ ჭკუაშეიარული ოყოს, არა, ეს მას უბრალოდ, როგორც ოტყვიან, კარ ხასიათით ეშლარობა.

ვერონიკა ამტკიცებ ეიღიმება ყოველთვის.

ამბობენ: შემოგხედავს, და, გეგონება, მანეთიანს გაჩუქებსო, ვერონიკას ყოველ გალიმებაზე მანეთიანი რომ ეჩუქებოა, — ხელფასი დიდი-დიდი სამ დღეს ეყოფდებოდა. არ ოფიქროთ რომ მას პატარა ხელფასი აქვს. ნორეფუბითაც არა.

რატომ გიყვებით ასე ფაქრაფლუბით მისი ღიმილის ამბავსო? ან რატომ. ზოგს ეგონა ღიმილი ძალუ ეშლის ხელ ეშოპაშაში. არა, მართლა...

მგონი, თქვენთვის არც კი მოიქეამს, სად მუშაობდა ვერონიკა. ჩვენთან მეშაობდა, ტროლეიბუსების პირველ პარკში, კონტროლიორად. იქნებ მიაქციეთ ყურადღება, რომ გიფიქრათ „მეშაობდა, და არა „მეშაობს"-ფეიენ. საქმე ისაა, რომ ვერონიკამ განცხადება შეშოტანა გამოთავისუფლების შესახებ, რა ოყო ამის მიზეზია, რომ მეოთხით, ეიპასუხეთ: მთავარი მიზეზი — ღიმილია, ღიმ, ღიმილო!..

ჩვენს ტროლეიბუსების პარკში მძღოლად მაწა ბარანანოი მუშაობს. მიშა ასე ეუბნებოდა ვერონკას:

— ამა, ერთი მოიხარეთ, თუ იგრძნობს დანაშაულს ეგზეკეთი მეზიარი, როდესაც თქვენ მიხალელი მასთან, ეა ნაზი ღიმილით ეტყვითო „მოკალქვეკ, გადაიხადეთ ჯარიმა!" მეზიარი ჯერ გაიფიქრებს: ამბეიღობით ხეთმნეთანინ! ხელს ჯიბეში ჩაიყოფს ფულსაფთეს და რას ხედავს? სხვათა შორის — თქვენს არაჩვეულებრივ ღიმილს, ისიც გაგიღიმებთ და დაიწყებს ლირიკულ საუბარს, რათა თქვენი ეუბადეთა სხვა რაფეს მიაპყოს და ასე შემდეგ...

ვერონკა ხელუბის საესაგით ამბობდა:

— ამა, რა ვქნა, ამხანაგებო, ასეთი ხასიათი მაქვს და რა ვქნა თუ კი მეშეტბა!

ბარანანოი კი განაგრძობს:

— გაოლმეთ, რამდენიც ეზეიბადეთ, ეკთაეკეგ. მხოლოდ ჯერ ჯარიმა მიიღეთ, ქეთანაო გამოეწერეთ, შემდეგ დატაბეს თქვენი ღიმილით და ფაიეეწყოს ოყ ფაკარდელი ხეთმანეთიანნი. თქვენ რა იცით, ვერონკა, თქვენი ღიმილის ფასი. ამ შეიარაღებით თქვენ არბეენად შეგიძლიაო მაღაზიის ფირეკტორად დადგეთ.

— მითხრ, რატომ?

— იმიტომ, რომ მოგი განაშუენებელი მყიდველი და სარიგრის წიგნს მოგთხოვთ, მისცეთმი წიგნს და ეკეეიმეეთი, როგორც კი თქვენს ღიმილს დაინახავს — მორჩა! გაბსნის წიგნს და მაღლობას ჩაგიწერთ. ამას ნამდვილად ეკეენენთი.

ვერონკა ეპასუხებს:

— გასაგებია. რადგან ასე ყოფილა — ყველას მკაცრი გამომეტყველებით დაეკარგებ. გაფიქრებ ხმლიდან სადილობისას, შუსეენების ფრონ, გამოსაცალეულ დღეს, პირველ მაისსა და შვიდ ნოემბერს!..

ამბობს და ოფითონ კი ეღიმება.

ამ სიტყვის შემდეგ ერთი შემთხვევა მოხდა. დგას ვერონკა „კრასნი ეოროტიოს" გაჩერებასთან. ეკამიანი ხალხი შეგროვილა. ირგალეკ გაზადხეულ ფრიმეკია. მოდის გაკეფდილი ტროლეიბუსი. ვერონკა, რასაკვირველია, მეზიარეოთან კი არ დგას, არამედ როგორც კონტროლიორი. დგას და ეფიქრა: ტროლეიბუსი ვიჩერდა, ეკანა კარებიდან მოეცოროვეესავით მხაროელი გზას იკეცეს ერთი ახალგაზრდა ვაეკი. ჩამოგდა, დაიბერტყა ტანსაცმელი, ამ დროს ვერონკა ფაკეზად მხარეს ხელს შეაბეს და ეუბნება:

— მოგესალეკე, ერთი წუთით...

ვაეკი მიბრუნდება და იმაე ადგილზე ქაკედეკა. ვერონკა ხედავს: შუსენშეაე ეამეკალი, ტანადი, თვალსაეერო, ცაცცოლანი თეკოლითი...

მაგ შორის ასეთი საუბარი გაიმართება:

— თქვენ დაარღვიეთ მოძრაობის წესები, მოგქალქეკ.

— მე დავარღვიე?

— დიახ, თქვენ.

— პირადად მე?

— პირადად ოქვენ, — ეუბნება ვერონკა და უნებლიეთ იღიმეკა.

ეფაწვეილაც ეღიმება და ჩაფიქრებით ეუბნება:

— რა ვქნა, თუ დავარღვიე, მზად ვარ პასუხი ეაგო კანონის მთელი სრეკატრით.

ვიდაც ტროლეიბუსის ოიგიდან ამბნეკეს ამ ამბავს: — ბეღი ეწია ახალგაზრდას, — იცის, სად დაარღვიოს წესი!

ვეკალს გაიცინა, ვერონკა კი ეუბნებაა:

— ჯარიმა ეუნდა გადიხადოთ, მოკალქეკ.

ყმაწვილი კი ეკეიუბეს ვერონკას და, თითქოს სიზმარშიოა, ამბობს.

— ჯარიმა გადაეიხადოთ? ინებეთ, ძალუ მოხარეკ ვარ. ეეიძლეკა თქეკას, მეფნინეკა კოდიდანაც იქკეკეს ჯიბეებში, ფულს ეძებს.

მოდის კიდევ ერთი ტროლეიბუსი, ეკეეანი მიდიან, ყმაწვილი კი ისევ დგას და ისეთი სახე აქვს, თითქოს ფულს ეძებს. მაშინ ვერონკა ეუბნებაა.

— ეხეკეკე. ფული თან არა გაქვეთ. ჩაეიწერ თქვენს მოსაგონოს და ეუნდაა გამოგიგზავნიან.

— ინებეთო, ჩაიწერეთ. მაგრამ, სანამ იქ, ჩვენთან ეუნდაა მოაღწეკეს...

— სად თქვენთან „იქ"?

— პრატესკენ. ეეს-ა. მეზენგლიანზე.

— თქვენ იქ მეშაობთ თუ?

— დიახ. ჩამოდგერიდეო რაგდენიმე ღლით მიგლინებაშეა და მაშინვე, როგორც ხედავთ, წესები დავარღვეეე, მაგრამ ანაფერია, მე ძალზე მოხარეკ ვარ!

— ეკეეფერი ხდება; — ამბობს ვერონკა, თან ქეეთრების წიგნაკს ინახავს, — ხდება, როდესაც საფმე მოეკეჭარეეა, ვერ შეამჩნეე სადაა წინა კარები და სად უკანა... იეეთ რა, ნეტარ ეძებთ ფულს. ამეკრიდ გაგიშვეეთ. მაგრამ, ეეთაეკეკ, შემდეგში ნეტ-ა მოიკეკეთ ასე.

ვერონკა ამას ამბობდა და რატომღაც ყმაწვილს ალარ ეუკურებდა, შეიძლება დაიინებინა კიდეკე, ან იქნებ — კიდეკ სხეკ რამ მიზეზი იყო, ყმაწვილი თეკლ ვერ აკეალებდა.

— რას ბრძანებეთ, ისე როგორ ენდა წაეიდე?... მე ხომ... წესრიგის დამრღვეეეი ვარ!

ვერონკა მხრებს იჩეჩს.



ᲕᲐᲚᲒᲝᲬᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ

მესიალური სმენით დაჯილდოებული ჭაბუკი ქეთიასაში სწავლის დროს სიმღერა-ალაფის მასწავლებელს, ცნობილ ლიტბარის კონსერვატორიაში ფლობდა სასულიერო სამხანარის მოწაფეთა გუნდის ლიტბარობაზე.

1903-1904 წლებში ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი კოტე ფოცხვერაშვილი გამოდის კონცერტებით ქ. ქეთაისში. ამ კონცერტების პროგრამაში შეიფიდა მ. ბალაბანოვის, ინ. კარგარეთელის, დ. არაყიშვილის, ზაქ. ფალიაშვილის ნაწარმოებები და, ავტორად, ქართული ხალხური სიმღერები და მეშვიდეული თვით კ. ფოცხვერაშვილის მიერ.

— წარგალთ თუ არა, ეს უკეე ჩემზე არაა დამოკიდებული, ოქვენ წესრიგის დამრღვეეეი რომ ხართ, მეკონი, ნაგვიანოეთ.

— მარადალია, ჩამაგონეთ, მაგრამ ჩაგიენა არ ეკარა, წესრიგის ასეთ დამრღვე

როგორც იქნა მოიღეს წყალობა. ბარათით შემატყობინეს, ბიუროში გამოვცხადებულიყავი; მეც წავედი. ბიუროში ყველანი კეთილად შემხვდნენ. მოხელემ კარტოტეკიდან ჩემი ბარათი ამოაძრო, „ჰმ“, ჩაილაპარაკა. მეც „ჰმ“ წარმოვთქვი. „რომელი ფეხი?“ — მკითხა მოხელემ.

„მარჯვენა“.

„მთლიანად?“

„მთლიანად“.

„ჰმ“, — ჩაილაპარაკა მან კვლავ. შემდეგ რამდენიმე სხვა ბარათიც გადათვალიერა. ნება დამრთეს ჩამოვმჯდარიყავი.

ბოლოს მოხელე ერთ ქაღალდზე შეჩერდა, რომელიც მას, ალბათ, ყველაზე მართებული ეჩვენა. „ვფიქრობ, — თქვა მან, — ეს სწორედ თქვენთვისაა ზედგამოჭრილი, შესანიშნავი საქმეა. დამჯდარს შეგიძლებათ მუშაობა. ფეხსაცმელების მწმენდავად საზოგადო საპირფარეშოსთან რესპუბლიკის მოედანზე. რას იტყვი ამაზე?“

„ფეხსაცმელების წმენდა არ შემიძლია; მე ყოველთვის უსიამოვნება მხვდებოდა გაუწმენდავი ფეხსაცმელების გამო“.

„შეგიძლიათ შეისწავლოთ, — მითხრა მოხელემ. — ყველაფრის სწავლა შეიძლება. გერმანელს ყველაფერი შეუძლია. თუკი სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ უფასო კურსებიც გაიაროთ“.

„ჰმ“ — წამოვიძახე მე.

„ესე იგი, გადაწყდა?“.

„არა, — ვთქვი მე. მინდა, ცოტა შეტი შემოსავალი მქონდეს“

„თქვენ ხომ არ შეშლილხართ?“ მითხრა მან შეგობრულად და გულკეთილად.

„არ შევშლილვარ. არავის შეუძლია კვეყანაზე ჩემი დაკარგული ფეხი დამიბრუნოს. მე პაპიროსის გაყიდვასაც ვიკრძალავენ, უკვე ახლავე მიქმნით სიძნელეებს“.

მოხელე სკამის ზურგს მიეყრდნო და ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი.

„ძვირფასო მეგობარო — დაიწყო მან, — თქვენი ფეხი — საოცრად ძვირფასი ფეხია. მე გვიდავ, რომ თქვენ ოცდაცხრა წლისა ხართ, გულით ჯანმრთელი და საკრთოდ საღსალამათი, ფეხი რომ არა... თქვენ იცოცხლებთ სამოცდაათ წელს. იანგარიშეთ, რამდენს შეადგენს თვეში სამოცდაათი მარკა თორმეტჯერ გამრავლებული, ე. ი. ორმოცდაერთი გამრავლებული თორმეტზე და სამოცდაათზე. იანგარიშეთ ყველაფერი ეს და მიუმატეთ პროცენტები და მიიღეთ მხელველობაში, რომ თქვენი ფეხი არაა ერთადერთი, ამავე დროს თქვენ არა ხართ გამონაკლისი, ერთადერთი, რომელიც ნამდვილად დიდხანს იცოცხლებთ. თქვენ გინდათ შემოსავალი გაგიზარდოთ?! ბოდიში, მაგრამ თქვენ გაგიუებულხართ“.

„ბატონო ჩემო, — ვთქვი და სკამის ზურგს მივეყრდნე, თან მთელი მკერდით ჰაერი შევისუნთქე, — მე ვატყობ, თქვენ ნაკლებად აფასებთ ჩემს ფეხს. ის უფრო ძვირია, ვიდრე თქვენ გგონიათ. ეს არაჩვეულებრივად ძვირფასი ფეხია. საქმე ისაა, რომ მე არა მარტო გულით ვარ ჯანმრთელი, არამედ თავიც საკმაოდ ჯანსაღი მაქვს. ყური მიგდეთ“:

„მე ცოტა დრო მაქვს“.

„ყური მიგდეთ! — ვთქვი მე, — ჩემმა ფეხმა მრავალი ადამიანი იხსნა სიკვდილის კლანჭებისაგან. ისინი ახლა გვარიან პენსიას იღებენ. ეს ასე მოხდა: მე მარტო ვიწექი სადღაც წინა ბაზზე; დავალებული მქონდა მტრისთვის თვალი მედევნებია, რათა ჩვენებს დროულად დაებიათ პოზიციებიდან. ზურგის შტაბი საჩქაროდ იკრავდა გუდა-ნაბადს, მაგრამ არ სურდა ძლიერ ადრე. ან ძლიერ გვიან გაპარულიყო, დროულად სურდა წასვლა. თავდაპირველად ჩვენ ორნი ვიყავით, მაგრამ მეორე ადრიანად გამოასალმეს წუთისოფელს. თქვენ იგი უკვე აღარაფერი გიღირთ. მართალია, იგი ცოლიანი იყო, მაგრამ ცოლი ჯანმრთელია და მუშაობის უნარი შესწევს, ეს თქვენ ნუ შეგაშინებთ. სულ რაღაც ერთი თვე იმსახურა და ძალიან თავიც დაჯდა, რაღაც ორცხობილას ერთი ბარათი. იგი ძლიერ ყოჩაღი ჯარისკაცი იყო, კარგი ქნა, რომ თავი მოაკვლევინა. და, აი, მე მარტოდმარტო დავრჩი, მეშინოდა კიდეც, ამასთანავე ცოდა და ის იყო, მეც წასვლას ვაპირებდი, რომ...“

„მე დრო არა მაქვს“, — გამიმეორა მოხელემ და ფანქარს დაუწყო ძებნა.

„არა, მომისმინეთ, — ვთქვი მე, — ყველაზე საინტერესო ახლა იწყება. სწორედ წასვლას რომ ვაპირებდი, ეს ამბავიც მოხდა. და რადგანაც წამოდგომა ვერ შევძელი, ვიფიქრე: ჩვენებს ნიშანს მივცემ-მეთქი. ასეც მოვიქეცი. ჩვენები ყველანი გაიკრიფნენ, რიგრიგობით, წესიერად, ჯერ დივიზია, შემდეგ პოლკი, შემდეგ ბატალიონი და ა. შ. როგორც წესი და რიგია. სისულელე ჩავიდინე — მათ დაავიწყდათ ჩემი წაყვანა, გესმით? უკვე ძალიან ჩქარობდნენ. ნამდვილად ბრიყვი გამოვდექი: მე რომ ფეხი არ დამეკარგა, ისინი ყველანი დაიხოცებოდნენ: გენერალიც, პოლკოვნიკიც, მაიორიც, ყველანი რიგ-რიგობით, როგორც წესი და რიგია და თქვენც აღარ მოგიხდებოდათ მათთვის პენსიის გადახდა. აბა, იანგარიშეთ რამდენი ღირს ჩემი ფეხი. გენერალი ორმოცდათორმეტი წლისაა, პოლკოვნიკი — ორმოცდარვის, მაიორი—ორმოცდაათის, ყველა ჯანმრთელია თავიდან ფეხებამდე, და სამხედრო სამსახურის პირობებში ისინი სულ ცოტა ჰინდენბურგივით ოთხმოც წლამდე მიაღწევენ. ინებეთ და იანგარიშეთ, ასსამოცი გავამრავლოთ თორმეტზე და კიდევ ოცდაათზე, საშუალოდ შეიძლება ოცდაათი წელიწადი ვიანგარიშოთ, ხომ ასეა? ჩემი ფეხი, ნამდვილად ძვირფასი ფეხია, ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ფეხია, რაც კი მე შემხვედრია გესმით?“

„თქვენ ნამდვილად შეშლილი ხართ“, — მითხრა მოხელემ.

— „არა, — ვუპასუხე მე, — სრულიადაც არ ვარ გიჟი. სამწუხაროდ, თავი ისეთივე მაგარი მაქვს, როგორც გული. მხოლოდ ძლიერ სავალალოა, რომ არ მომკლეს. ჩვენ ხომ უამრავ ფულს დავზოგავდით“.

„ყაბულს ხართ თუ არა იმუშაოთ... იმ ადგილზე?“ — მკითხა მოხელემ.

„არა“, — ვუთხარი და იქაურობას გავეცალე.

თარგმანი გერმანულიდან ნოდარ რუხაძისა.

ქართული ხალხური ორნამენტი

დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელსაც არ ჰქონდეს საკუთარი, მისთვის სპეციფიკური, ისტორიულად გამომუშავებული ორნამენტული დამწერლობა, ორნამენტი (ნაქარგი). ხალხურ ორნამენტში ჩაქსოვილია ხალხის, უშუალო მწარმოებლის სული და გული, მისი გრძნობა და გონება, მისი ოსტატობა.

მდიდარი და მრავალსახოვანია ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ორნამენტი. ის ასახულია ქსოვილზე, ხეზე, ლითონზე, ქვაზე და სხვა მასალაზე. მცირე მასშტაბით ის დღეს-აც ცოცხლობს ხალხურ ყოფაში, ხოლო დიდი რაოდენობით მისი ნიმუშები დაცულია ჩვენს მუზეუმებში, ნაწილობრივ გამოფენილია და გამოცემულიც.

განსაკუთრებული სიმდიდრით, ფერების შეხამებით, ნატიფი ხელობით, შესრულების მრავალმხრივი ტექნიკური ხერხებით, გეომეტრიული, მცენარეული და ცხოველური სახეებით და რთული სიუჟეტებით გამოირჩევა ქართული ნაქარგობა. მასში გამოყენებულია ათეული სხვადასხვა ხერხი: სადა და მოყინული სითვი, ყაისნალური, კლერტული, განემსული, გრეხილური და სხვ.

ნაქარგობის ორნამენტის ძირითადი შემადგენელი ელემენტებია: კვერა, ხუთა, ბორჯღალა, დაკავკაულა, მგზავრა, რქადახრილა, მარტუნელა, ხატულა, ხვეულა, მომხვევრა, ციკოვკავა, კუდიქცეულა, წეროსმხარა, მწკალა, ანო, ინო, ონო, მცენარეული და ცხოველური სახეები.

ფერების მიხედვით ქართველი მთიელების ნაქარგ-ნაკერი ნიმუშების ძირითადი სპექტრია: ლურჯი, სისვი (მწვანე), წითელი და ყვითელი ფერები. ფერების ჰარმონიულად შეხამების ცნობილი ოსტატებია არაგვის ხევსურეთის („ბუდე ხევსურეთის“) ქალები. განთქმულია მათ მიერ დამზადებული მამაკაცის პერანგის ფარაგი (საგული) და დედაკაცის ხადიაცოს უბე-ფარაგები. აქ იქარგებოდა სხვადასხვა ხარისხის ფარაგები: ოთხთვალიანი („25 ამოგდებისა“), ცხრათვალიანი („65 ამოგდებისა“), თორმეტთვალიანი („81 ამოგდებისა“) და მრავალთვალიანი („ხუთოც ამოგდებისა“). ეს უკანასკნელი საგანგებოდ სწორფერისათვის იყო განკუთვნილი. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ფარაგებს შორის ბევრი დიდი გემოვნებით, დიდი ოსტატობით და თვალსაზრისით არის გაკეთებული და ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს.

ხალხური ორნამენტის საუცხოო ნიმუშებს ოქრომკედით ნაქარგობა იძლევა. ოქრომკედის ნაქარგობით შემკულია მრავალი საყოფაცხოვრებო და დეკორაციული საგანი: გულისპირები, მუთაქები, ბალიშისპირები, სარტყლები, თავსაკრავები, წამოსასხამები, და სხვ. ოქრომკედით იქარგებოდა ხავერდზე, მაუდზე, ატლასზე, ტაფტაზე და სხვა ძვირფას ქსოვილზე. ამ ტექნიკით შესრულების უბადლო ნიმუშებს ეკუთვნის ხავერდსა და ატლასზე გამოყვანილი ვაზის, მუხის ტოტის, პურის თავთავების, ბროწეულის ყვავილებისა და სხვა ნაქარგობა.

ჩვენი ვალია ხალხის მიერ დაუნჯებული, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ხელოვნება ჩვენი დროის მოთხოვნილების სამსახურში ჩავაყენოთ და არათუ გამოვიყენოთ ის, რაც ხალხს შეუქმნია, არამედ დავწინაუროთ, მივცეთ მას გასაქანი, ხელი შევუწყოთ მის განვითარებას და ახალ საფეხურზე ავიყვანოთ.

პროფ. გიორგი ჩიტაია.

მალვა ხუციშვილი

ჩვენი ბრიგადა

აკაკი წიქარიშვილი

ვლადიმერ არონიშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან კარგად მოჩანს ქარხნის ცადაწვდილი საკვამლე მილები. ქარხანა გოლიათივით აღმართულა ვაკეზე. ეზო რკინიგზის ლიანდაგით შუაზე იყოფა.

დილის ცვლა მუშაობას შედგომია. ელვარებს ვავარვარებული მინა და ღუმელში თუხთუხებს, ახალი მაჭარივით შხეფებს აფრქვევს ირგვლივ.

შესავალში საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ძირტბილაშვილი გამოჩნდა, იქით მიგვიწვია. მთავარმა ინჟინერმა ზაზიკაშვილმა დამხმარე და ძირითად საამქროების უფროსებთან საუბარი მოათავა და ჩვენსკენ გამოემართა, ღიმილით მოგვესალმა.

ერთ-ერთ მანქანასთან შევჩერდით.

— ეს კომუნისტური შრომის ბრიგადაა, — ამბობს ინჟინერი, — მას მოწინავე მუშა ვლადიმერ არონიშიძე ხელმძღვანელობს, აი ისიც.

ბრიგადირმა სამანქანოში შეგვიყვანა. აქ შედარებით ნაკლები ხმაური იყო. კუთხეში კარადა იდგა, რომლის მინაშიც ბოთლები მოჩანდა. უნებურად თვალი იქით წამივიდა, ვლადიმერმა ეს შენიშნა და მითხრა: — ეს ჩემი შრომის სტაჟია. ყოველწლიურად თითო ბოთლს ვინახავდი. 34 წელია ამ ქარხანაში ვმუშაობ.

ბოთლის მანქანა დინჯად დატრიალდა, ბრიგადა მუშაობას შეუდგა. ღუმელის ელვარება ხელს გვიშლიდა ბოთლის ჩამოსხმის პროცესს კარგად დავკვირვებოდით. მძლავრი ვენტილატორები ასუფთავებდნენ ჰაერს.

ვაკუმ მანქანამ დინჯად ჩაყო ცხვირი გავარვარებულ სითხეში, შეიწოვა მინა, მაღლა აიწია, გასწორდა და გზა განაგრძო. უცებ სანთელივით ჩამოეკიდა შემაგრებული სითხე, მორგვმა შუაგულში მოიქცია, ძირი გაუკეთა, შემდეგ გადმოპირქვავდა და ქოლგასავით დაეხურა ხუფი. ჩვენდა შეუმჩნევლად მანქანამ ჩაბერა, როდესაც მორგვმა წრე გაკეთა, ყალიბი გაიხსნა. ნახევარლიტრიანი ბოთლი კონვეიერზე დავარდა და გაჰყვა მას.

მანქანა ჯიუტ მოცეკვავესავით ბრუნავდა. თანაშემწე ალექსი გელაშვილი გარს უვლიდა, მინის ზედმეტ სითხეს აშორებდა, ასწორებდა ყალიბებს, მანქანის მუშაობაში მცირედ ცვლილებასაც კი არ ტოვებდა უყურადღებოდ. ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლები წუნი ყოფილიყო კონვეიერზე მოძრავ ბოთლებში, უწყვეტ ნაკადად რომ მოედინება, ბრიგადის წევრები ოქრუაშვილი და მერაბიანეცი საბოლოოდ არჩევდნენ წუნდებულ ბოთლებს, ხოლო საღი ორველოდი პარკაძის, თამარ ხაჩიძის და ეკუნა კვინიკაძის ხელით, იგზავნებოდა გამოსაწვავად. აქედან კი საჰაერო ტრანსპორტიორით გადადიოდა ჩამომსხმელ ქარხანაში.

1943 წლიდან ქარხანა ნახევრად მექანიზებული იყო. ამჟამად კი მთლიან მექანიზაციაზეა გადასული.

მემანქანე ვლადიმერ არონიშიძემ სახელოვანი შრომის დიდი გზა განვლო. ამ ქარხანაში 14 წლის ცეროდენა ყმაწვილი მოვიდა, მთელი თავისი სიჭაბუკე აქ გაატარა და ღირსეულად დაიმსახურა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის საპატიო სახელი.

ვლადიმერს გუშინდელ დღესავით ახსოვს თავისი წარსული: 11 წლისა დაობლდა, მამას და უფროს ძმას შეჰხვეროდა, მუყაითად სწავლობდა. მე-7 კლასში იყო უფროსმა ძმამ რომ უთხრა:

— აი, სწავლას მალე მორჩები; თუ კარგ ნიშნებს მიიღებ, ჩემთან წაგიყვან ქარხანაში და მერე შენ იცი. პირობა ორივე ძმებმა პირნათლად შეასრულეს. ვლადიმერმა ორი წელი იმუშავა ძმის გვერდით ბოთლების მზიდავად, შემდეგ კი თვითონ გაიკვლია გზა.

სამმა ათეულმა წელმა განვლო მას შემდეგ... ვლადიმერს თმა შეუთეთრდა, ოჯახში დოვლათი და ბარაქა დაუხვავდა.

ადამიანის თავდადებული შრომა ღირსეულად ფასდება ჩვენს ქვეყანაში. 34 წლის მუშაობის მანძილზე ვლადიმერს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის მედალი „შრომითი მამაცობისათვის“.

თავისუფალ დროს ვლადიმერი ხალისით მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ქარხნის სასულიერო ორკესტრს.

ვლადიმერი ადგილობრივი საბჭოს დეპუტატია და ამართლებს კიდეც ხალხის ნდობას.

* * *

წიქარიშვილი სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნდა, ქარხანა ძველ ადგილზე აღარ დახვდა, ბორჯომ-ბაღიდან ბორჯომში მოუხდა წასვლა. აკაკიმ ქარხნის ახალი კორპუსები რომ დაინახა უცხოდ ეჩვენა, შესვლა ვერ შებედა. ერთ ხანს დაბნეულმა იარა, შეჩერდა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, კიბეები აირბინა და კარზე დააკაკუნა. საკარძელში მჯდომს თვალი შეავლო, სითამამე მოკრიბა და მიმართა:

— ჯარში წასვლამდე აქ ვმუშაობდი, ახლა დაბრუნდი და აქვე მოვედი სამუშაოდ.

დირექტორი მის გარეჯულ სახეს და ვაქკაცურ მოყვანილობას რომ დააკვირდა, თვალში მოუვიდა, თანხმობა მისცა, არც მოტყუებულა.

აკაკი წიქარიშვილი სოფელ ციხისგვერდიდან ჩამოვიდა. ჯარში ყოფნისას ხშირად იგონებდა მშობლიურ ქარხანას და ოცნებით მასთან იყო. ეს ოცნება დღეს სინამდვილედ ექცა და მთელი მონდომებით დაეწაფა შრომას.

შეეჩვია ახალ ადამიანებს, ქარხანა მისი მეორე ოჯახი გახდა. აკაკის ბრიგადა ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმას. ამიტომ კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი მოიპოვა.

აი, ბრიგადის წევრებმა თამარ ციყელაშვილმა, თამარ ფერაძემ, დარეჯან ნანიტაშვილმა და ნატო ლომიძემ მიიღეს შუშის ქარხნიდან გამოგზავნილი ბოთლები, სწრაფად ჩააწყეს ბოთლის მრეცხავ მანქანაში. გარეცხილი ბოთლები უწყვეტ ნაკადად გამართა ჩამომსხმელ მანქანებისაკენ. აქ კი თამარ გეგიძე ციბრუტივით ტრიალებს მანქანების გარშემო, რომ ბოთლი ნაკლული არ დარჩეს, დაუტვირთავი არ იყოს საჩამომსხმელო მანქანა. მას გვერდით უდგია ანჯელინა ალექსანიანი, ხალისიანი შავგვრემანი გოგონა, რომელიც სავსე ბოთლებს ხუფავს და აგზავნის დამხარისხებლისაკენ. მანქანა „იდეალს“ რომ მიუახლოვდება, ბოთლები გადმოტრიალდება, აკეთებს ნახევარ წრეს, ელექტროშუქზე დამხარისხებლები გვარამაძე და კიკნაძე აკვირდებიან ბოთლებს და უხარისხო პროდუქციას უკანვე იღებენ.

ბრიგადირი წიქარიშვილი ყველა მანქანას გარს უვლის და საჭირო შემთხვევაში დახმარებას უწევს.

რიტმული და შეწყობილი მუშაობის შედეგად წიქარიშვილის ბრიგადას ყოველდღიური გამომუშავების ნორმები შესრულებული აქვს 145-150%-ით. მას ფეხდაფეხ მისდევს ხარაზიშვილის და სხვა ბრიგადები. ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო გეგმის გარეშე გამოუშვას 2 მილიონი ბოთლი წყალი.

ფოტო ოთარ თურქიანი.



ეს ეს, ეს ეს

იქნებ ყველა მანდილოსანისთვის არც არის ცნობილი, რომ საზოგადოების განვითარების რომელიღაც ქვედა საფეხურზე მამაკაცი არ იყო ქალის თანასწორი. ეს ამბავი ადამიანთა გონების დაწისლვის იმ დაწყევლილ პერიოდს მიეწერება, როდესაც დედაკაცი იყო მამაკაცი და, პირიქით. ამას მატრიარქატი ერქვა. ეს იყო დრო, როდესაც არ არსებობდა ცნება „შინაბერა", ქალების მისამართით, ხოლო შინდარჩენილ გაუთხოვარ გონჯ და დაფეხვილ ვაჟებს მშობლები და შუამავლები ათასნაირი მოტყუებებითა და შანტაჟით ათხოვებდნენ სოფლის ვაჟკაც დედაკაცებზე. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, იყო ვაჟების მოტაცებაც, ძალადობაც და, წარმოიდგინეთ, ფიზიკური შეურაცხყოფაც.

არ იქნებოდა ზედმეტი წარმოგვედგინა ეპიზოდი ამ ჩვენთვის სამარცხვინო და თავმოსაჭრელი ისტორიული წარსულიდან.

..სოფელ გამოქვაბულეთის ტერიტორიას მთვარე დაახლოებით ისე ანათებდა, როგორც ახლა ანათებს ხოლმე. გასათხოვარი ვაჟის პატრონის საკარმიდამო ნაკვეთზე ბნელოდა. გამოქვაბულის წინ კავკასიური ჯიშის იხტიოზავრი ება, ხოლო ჭიშკარზე ეწერა „ეზოში ავი ძაღლია".

ეზოში ფრთხილად შემოვიდა შავთვალწარბა, მაღალი, მკერდზე წაბლისფერთმაჩამოშლილი ვაჟკაცი გოგონა. იხტიოზავრმა ყურები ცქვიტა და დაიღრინა, მაგრამ უმალ იცნო სასიძო და მიწაზე კუდის ბაკუნით ჩაუგორდა ფეხებში. სასიძო გოგონამ პირში ოთხი თითი ჩაიდო და გაბმულად დაუსტვინა. გამოქვაბულში რაღაც გაფაჩუნდა, კარი აჭრიალდა და ეზოში ნატიფი ჩრდილი გამოსრიალდა. მან ფრთხილად გაიხედ-გამოიხედა და ამჟამად გადაშენებული ბუჩქნარის იქით გაუჩინარდა.

— იაკინთე, შეენ? — შეეგება მას აღელვებული ქსენია.

— მე, მე ჩემო ყველავ! — წაიდუდუნა იაკინთემ და თავი მიაყრდნო მკერდზე ვაჟკაც ქსენიას.

ისინი უხმოდ გაყვნენ ოკეანის ნაპირს, და დაახლოებით იქ, სადაც ახლა ხანგრძლივი გეოლოგიური და ვულკანური პროცესების შედეგად კავკასიონის ქედია ამოზნექილი, ნავში ჩასხდნენ. თბილი მუსონი უკოცნიდა იაკინთეს ახლად ამოყრილ წვერ-ულვაშს. ნავი ტალღებზე ირწეოდა, იმჟამად იმ მიდამოებში მყოფი ოკეანე იყო საოცრად მშვიდი.

— იაკინთე!

— რა ქსენია!

— ჩვენ სახლში აღარ დავბრუნდებით, შენ ჩემი უნდა გახდე სამუდამოდ! — აღმოხდა ქსენიას.

— ასე შიშველი, სახლიდან გამოპარული? — თქვა იაკინთემ და მარაოსავით წამწამები მორცხვად აახამხამა.

— მე შენი ქონება არ მაინტერესებს, მამაშენივით კი არ ვარ.

— მამაჩემს ცუდად ნუ მიხსენებ. ჩემისთანა კიდევ ოთხი ყავს გასათხოვარი და რა ქნას?—იწყინა იაკინთემ.

— ნუ გეშინია, ქვაზე დაგასახლებ, — გატაცებით თქვა ქსენიამ.

— მეშინია! — წაიჩურჩულა იაკინთემ, ქსენიას მიეკრა და ცახცახმა აიტანა.

— ჩემთან რისი გეშინია!

— დაიქუხა ქსენიამ, წელზე ჩამოკიდებულ ნაჯახზე ხელი წაივლო და ალვისტანა იაკინთე გულში ჩაიკრა.

— რას ჩადი, რას, ჯერ ნუ, სანამ ხელს არ მოვაწერთ, ნუ მაკოცებ... — აქვითინდა იაკინთე.

— მხოლოდ ერთხელ გაკოცებ... — გაიქაჩა ქსენია.

— არა, არა, თქვენ სულ ასე იცით, ჯერ ერთ კოცნას მოითხოვთ, მერე ორს, მერე ასს... ყველა დედაკაცები ერთნაირები ხართ!.. — თავს იცავდა სუსტად იაკინთე.

გათენებისას ისინი გადასხდნენ უსახელო კუნძულზე, ქვის ნაჯახით ამოკვეთეს კლდეზე ინიციალები, გაიფორმეს საბუთები და დაიწყეს ცხოვრება. შემდეგ, როგორც წესი, იაკინთეს მშობლები შეურიგდნენ, მზითვად გამოატანეს ოთხი სიპის ტახტი, ექვსი ქვის სასთუმალი, ერთი გოდორი ლელვის ფოთოლი — საცვალი და სხვა. დატრიალდა ცხოვრების ჩარხი, ქსენია დადიოდა სანადიროდ, იაკინთე უვლიდა ბავშვებს, ამზადებდა საჭმელს, მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. იაკინთემ უღალატა ქსენიას.

— მომეერი ხომ თავი?!... — იღრიალა ერთ მშვენიერ დღეს გახეთქილმა, მთვრალმა ქსენიამ.

— ტყუილია, ჭორებს არ დაუჯერო! — შეიცხადა შეშინებულმა იაკინთემ და საყვარლის მიერ სიჩქარეში დარჩენილ ლელვის ფოთოლს ფეხი დაუბიჯა.

— მე ქმარი ვარ შენი, თუ ვინ ვარ? — განაგრძო თვალებჩასისხლიანებულმა ქსენიამ და ქვის ნაჯახი იშიშვლა.

— მომკალი, მომკალი, არ მინდა ასეთი ცხოვრება, მეც ადამიანი ვარ თუ არა? შენ მთელი დღე ტყეში დაეთრევი, მთვრალი მოდიხარ, ჩემთვის არც კინოა, არც თეატრი. ის დღე დაიქცა, როდესაც ჩვენ, მამაკაცები, თქვენს მონებად დავიბადეთ, — აქვითინდა იაკინთე.

— რატომ მღალატობ, კაცო, რა გაკლია! — თქვა გაბზარული ხმით ქსენიამ.

— ყველაფერი!

— ბუს კვერცხები ხომ გაქვს თავზე საყრელად?

— მაქვს.

— შუბა ხომ მოგიტანე?

— მერე რომ ისევ დახიე მთვრალმა?

— ვინ? მე შენი შუბა დავხიე? ო, არარაობავ. მამაკაცი უნდა გერქვას შენ!

— მამაკაცი კი არა, — დედაკაცი, — ამოიკნავლა იაკინთემ.

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ბოლოს და ბოლოს, მამაკაცებმა აღიმაღლეს ხმა და ერთ მშვენიერ დღეს ქალებთან გათანასწორებაც კი მოითხოვეს. მართალია, ეს ერთი ხელის დაკვრით არ გაკეთებულა, ამას მთელი ეპოქები და საუკუნეები მოუნდა, მაგრამ შეთანხმება მიღწეულ იქნა და მამაკაცი ქალის თანასწორი გახდა.შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მამაკაცმა გაბატონებულ მდგომარეობასაც მიაღწია და დაიწყო ახალი ერა ჩვენს ცხოვრებაში — პატრიარქატი.

ყველაფერი თავიდან დაიწყო, ოღონდ — უკუღმა, ქალები დამონებულნი აღმოჩნდნენ, დიდხანს ითმინეს, ითმინეს და ერთ მშვენიერ დღეს დედაკაცი მამაკაცის თანასწორი გახდა. ეს ბედნიერი დღე, 8 მარტი, დღესასწაულადაც კი გამოცხადდა. ჩვენ მამაკაცებს ამისათვის ჭკუაც არ გვეყო, როდესაც დედაკაცები ვიყავით, რომ ჩვენი ქალებთან გათანასწორების დღე დღესასწაულად გამოგვეცხადებინა.

როგორ მიაღწიეს ამას ქალებმა, ეს ახლა დღესავით ნათელია და ჩვენ მამაკაცებს დიდი როლი მიგვიძღვის ამ უკეთილშობილეს საქმეში, მაგრამ მე შიშითა და ძრწოლვით ვადევნებ თვალყურს ქალთა სისხლში იმ ზვიად წინაპართა სისხლის აღზევებას, რომლებსაც ცოლებად ვყავდით და წინდას გვაქსოვინებდნენ. ზოგიერთი ქალები უკვე აშკარად არღვევენ თანასწორობის საზღვრებს.

აი, ერთი თანამედროვე მაგალითი:

— რა გინდა, ქალო, რომ დამტკივრე ცოცხლად, მაცივარი გაქვს?

— მაქვს.

— სარეცხი მანქანა?

— მაქვს.

— ტელევიზორი?

— კი.

— აბა რა გაკლია?

— კუბო, რომ ჩაგასვენონ და გაგასვენონ!

— რატომ, რატომ?

— ნათელას ქმარი ყავს?

— ყავს.

— მისი ქმარი სარეცხს რეცხს?

— რეცხს.

— ბავშვებს უვლის?

— უვლის.

— საჭმელს ამზადებს?

— ამზადებს.

—საინებს რეცხს?

— კი.

— ეჭვიანობს?

— არა.

— ღვინოს სვამს?

— არა.

— პაპიროსს ეწევა?

— არა.

— ჰოდა რა ჰქვია ასეთ ქმარს?

— მთხლე და ჩვარი!

— მთხლე და ჩვარი შენ ხარ!

ძვირფასო ქალებო, ხომ არ ხედავთ ამ პატარა სცენაში იმის ტენდენციას, რომ ზოგიერთი ისწრაფვის ისევ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვოს? ჩვენ მამაკაცებს საუბედუროდ ეს არ გვაძლევს ხელს.

უფრო ძვირფასო ქალებო! ეს ტენდენცია დღითი დღე უფრო და უფრო საშიში ხდება, მე ამას ვერ გადავიტან. გთხოვთ ნუ გვიზამთ ამას. ნუ ჩაგვყრით იმ საცოდავ მდგომარეობაში, რომელშიც ვიყავით ამ რამდენიმე ეპოქის წინათ. დავრჩეთ თანასწორნი, თორემ შემდეგ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება. ვიყოთ ასე, გავინაწილოთ ოჯახის ფუნქციები, ჩვენ რვა მარტს საჩუქრებს მოგიტანთ, თქვენ ტკბილები დაგვიცხვეთ და ასე შემდეგ.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ამის უფლება კონსტიტუციის ძალითაც გვაქვს. მოკლედ ჩვენც ხუ და თქვენც ხუ.

გახსოვდეთ, ქალებო! რომ მამაკაცი ქალის თანასწორია.

ნახატები ჯემალ ლოლუასი.

ნ. სკალის საჩუქარი



გასული წლის 8-15 სექტემბერს იტალიაში (მილანი-სტრეზა) მოეწყო სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მივიღე მეც.

მილანის საყოველთაოდ ცნობილმა ოპერისა და ბალეტის თეატრმა ლა სკალამ კონგრესის პატივსაცემად 12 სექტემბერს დადგა სპეციალური სპექტაკლი — ბალეტი.

მსოფლიოში განთქმული თეატრისათვის, სადაც ვოკალური ხელოვნების დარგში წრთობა მიუღია არა ერთ გამოჩენილ ქართველ მომღერალს, გადავწყვიტე საჩუქრად გადამეცა მოსკოვური დეკადისათვის დაბეჭდილი ზოგიერთი წიგნი.

სპექტაკლის დაწყებამდე მივედი თეატრის ადმინისტრატორთან და შევთავაზე წიგნები. მაგრამ მან შორს დაიჭირა: საბჭოთა კავშირიდან ასეთი ძვირფასი საჩუქრები თქვენ უშუალოდ თეატრის ხელმძღვანელს უნდა გადასცეთო.

თეატრის ხელმძღვანელთან სენიორ ანტონიო გირინგელისთან საუბრებმა ისეთი ფართო ხასიათი მიიღო (ის სამივე შესვენებისას და სპექტაკლის დამთავრების მერეც გაგრძელდა), რომ მეორე შეხვედრისას მთარგმნელიც თან წავიყვანე.

გირინგელიმ თეატრის თანამშრომლებთან ერთად ყურადღებით დაათვალიერა წიგნები, განსაკუთრებით ბევრხანს შეჩერდნენ ბალეტ „ოტელოსა“ და „ოიდიპოს მეფის“ მთავარი როლების შემსრულებელთა ფერად ფოტოებზე. „თქვენ ამას კარგად დააკვირდით. სენიორებო!“ — მიმართა მან იქ მყოფთ და წინ დაუდვა ა. ხორავას სურათი ოიდიპოს მეფის როლში.

ა.გირინგელიმ ამ საჩუქრებზე ფრიადი ხელგაშლილობითა და იტალიური სტუმართმოყვარეობით მიპასუხა: მან მიბოძა დიდი და ფერადი ილუსტრაციებით შემკული გამოცემა **„La Scala 1946-1956“**.

1943 წ. ლა სკალა ამერიკულ ყუმბარას ნაწილობრივ დაუნგრევია. რესტავრაციის შემდეგ თეატრი მწყობრში ჩამდგარა და ამ ფოლიანტში მისი ათი წლის სახელოვანი ისტორიაა ასახული.

სენიორ ანტონიო ფურცლავდა ამ წიგნსა და გატაცებით მიყვებოდა თეატრის ისტორიას — სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საბჭოთა თეატრალური კოლექტივების ლა სკალას სცენაზე გამოსვლებს. ამჟამად ის მთლიანად შეეპყრო საბჭოთა კავშირში ლა სკალას დადგმების განხორციელების იდეას. კულტურული გაცვლის პროგრამის შესაბამისად ისინი ფიქრობენ თავიანთი სპექტაკლები უჩვენონ მოსკოვს, ლენინგრადს, კიევსა და თბილისს. „იქ ხომ ჩვენ სანაქებო ქართულ სტუმართმოყვარეობასა და, რაც მთავარია, პროფესორ გუგუშვილისაგან ნაჩუქარ წიგნებში მოთავსებული სურათების ცოცხალ ორიგინალებს, ჩვენს თანამოძმეებს გავეცნობითო“, — მიმართა სენიორ ანტონიომ კაბინეტში შეკრებილთ.

სპექტაკლი გათავდა. ჩვენი შეხვედრა ამით უნდა დამთავრებულიყო. მე მას და მის მოადგილეს საბჭოთა სამკერდე ნიშნები გადავეცი: „მშვიდობის მტრედი“ და „დედამიწის თანამგზავრი“.

სენიორ გირინგელიმ ბრძანა მოეტანათ უძვირფასესი საჩუქარი, რასაც ლა სკალა აძლევს თავის საპატიო სტუმრებს. მოიტანეს დიდი ფოლიანტი: ეს იყო ჯუზეპე ვერდის ოპერის „ფალსტაფის“ ავტორისეული ხელნაწერის ფოტოპირი, დიდ წიგნად აკინძული და ძვირფას ყდაში ჩასმული პარტიტურა.

გირინგელი მით უფრო დიდის პომპით მთავაზობს ამ ოპერას, რომ მისივე სიტყვებით „ვერდი არის არა მხოლოდ მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების, არამედ, კერძოდ, იტალიისა და, სახელდობრ, ლა სკალას უშესანიშნავესი ვარსკვლავი. აქ დაიწერა და დადგა მისი პირველი ოპერა „ობერტო“ (1839) და მისი უკანასკნელი ქმნილება „ფალსტაფი“ (1892), რაც მის ყველაზე გენიოსურ ქმნილებათა (რომელთაც მიეკუთვნება, აგრეთვე, „ოტელო“ და „აიდა“) მწვერვალს წარმოადგენს“.

ჯ. ვერდის ეს ქმნილება ხსენებული სახით ლა სკალას მიერ დაბეჭდილია ფრიად მცირე ტირაჟით. ჩემთვის ნაჩუქარი ეგზემპლარის ნომერია 226. სპეციალური აღრიცხვა წარმოებს, თუ ვის და როდის მიეცა ეს პარტიტურა. ადმინისტრატორმა მაცნობა, რომ ჩემი ეგზემპლარის სახით „მეორე ცალი მიდის საბჭოთა კავშირში“.

ამ საჩუქრის მიღებისას სენიორ ანტონიო გირინგელისა და მასთან მყოფთ მოვახსენე, რომ ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ ესოდენ უნიკალური განძი წაიღო საკუთრად ჩემთვის. მე მას თბილისში გადავცემ ან თეატრალურ მუზეუმს, ან ოპერისა და ბალეტის ქართულ თეატრს, რათა დაინტერესებულთა რაც შეიძლება ფართო წრეს შეეძლოს მისი გაცნობა-მეთქი.

დასასრულ, აქ მხოლოდ ის მინდა დავსძინო, რომ ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის დირექტორმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ, რომელსაც ჩემი იტალიური შთაბეჭდილებებისა და მოგზაურობათა ეს ეპიზოდი ვუამბე, გამოთქვა კეთილშობილური აზრი, რომ ჩვენი ოპერის თეატრი .თავის მხრივ, ლა სკალას გაუგზავნის „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ პარტიტურებს.

პროფ. პაატა გუგუშვილი

ქართველი სტუდენტები ტარტუს უნივერსიტეტში

ქ. ტარტუ ბალტიისპირეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს ცნობილი იყო თავისი სამეცნიერო დაწესებულებებით და მუზეუმებით. მაგრამ ესტონელების სიამაყეს მაინც ტარტუს უნივერსიტეტი წარმოადგენს, რომელიც დაარსებულია 1802 წელს.

ტარტუს უნივერსიტეტში მრავალი ქართველი სტუდენტი სწავლობდა. აქ გამოიზარდა ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო მოღვაწეთა მთელი პლეადა. უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა დახმარებით რამდენიმე ცნობა მოვკრიფეთ ამ საინტერესო საკითხზე. თბილისის გუბერნიიდან XIX საუკ. 80-90-იან წლებში უნივერსიტეტში სწავლობდნენ შატილოვი, აბდუშელიშვილი და სხვ. 1897 წ. გაზ. „ივერია“ (№ 201) იუწყება, რომ იურევის უნივერსიტეტში „ეგზამენი“ ჩაუბარებია და ჩარიცხულა 6 ქართველი. ქართველ სტუდენტებს დაუარსებიათ „ქართული სამკითხველო“, ხოლო იმდროინდელ ქართულ და რუსულ რედაქციებს დახმარება გაუწევიათ „ახალფეხადგმულ“ ბიბლიოთეკისათვის.

ქართველი სტუდენტები დიდ სიღარიბეს განიცდიდნენ, მაგრამ სწავლისათვის მოწყურებული ახალგაზრდობა, მიილტვის იურევის უნივერსიტეტისაკენ, რადგან „ქართველ ღარიბ სტუდენტთათვის ეს ქალაქი ხელმისაწვდომი ყოფილა“ (გაზ. „ივერია“ 1898 წ. № 192).

საქართველოში დარჩენილი მშობლები, ნათესავ-მეგობრებში ჰკრეფდნენ ფულს და შემდგომ უგზავნიდნენ სტუდენტებს იურევში. ამ მხრივ ხშირია გაზეთებში სტუდენტების სამადლობელო წერილები, ისინი „მადლობას სწირავენ“, კეთილისმყოფთ“.

თვით ტარტუს უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები თავიანთ თანამოძმეებს ეხმარებიან, მხარს აძლევენ, რათა სიღარიბის გამო ამა თუ იმ სტუდენტმა სწავლას თავი არ მიანებოს. ამ მიზნით დაუწყიათ საქველმოქმედო ქართული საღამოების გამართვა, რომლის შემოსავალი ეძლეოდა ღარიბ სტუდენტებს. ასეთი საღამო ტარტუში 1898 წ. 14 თებერვალს გამართულა. ამ საღამოს მეორე მიზანიც ჰქონია, რადგან აქ პირველი ქართული საღამო იმართებოდა: „ამ საღამოს უნდა გაეცნო აქაური საზოგადოებისათვის ქართველი ნაცია“ ამიაათვის „...მოვიწვიეთ ქ-ნი არლანი, ბ. ბალანჩივაძე, პ. ქუთათელაძე... ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით ხორომ შეასრულა სხვადასხვა ქართული ხმები: კახური, იმერული და სვანური“. ქართველ სტუდენტებს დიდი პატიუცისმგებლობით ჩაუტარებიათ ეს პირველი ქართული საღამო.

გარდა ამისა, ქართველი სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მუსიკალურ-სალიტერატურო საღამოებში, რომელიც არაქართველ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ იმართებოდა. ასეთი საღამო 1900 წ. 12 ოქტომბერს საბეთლო ინსტიტუტის სტუდენტებს გაუმართავთ, სადაც, ქართველ სტუდენტთა გუნდს, რომელსაც სტუდენტი მამამთავრიშვილი ლოტბარობდა, შესანიშნავად შეუსრულებია ქართული სიმღერები, აღტაცებულ საზოგადოებას მათთვის ოვაცია გაუმართავს.

კვლავ და კვლავ მიდის ტარტუსაკენ ქართველი ახალგაზრდობა, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული უნივერსიტეტი. აქ ვხვდებით ქართველ სტუდენტებს: ალ. ალადაშვილს, კ. ფოკვერაშვილს, ნ. ჯაშს, კ. ერისთავს და სხვა. ჩვენ სულ ამოვწერეთ 60-მდე ქართველი სტუდენტის გვარი (ცნობა ზუსტი არ არის), შემდგომში მათი უმრავლესობა ცნობილი დაუტაქრები, მეცნიერები, კომპოზიტორები და საზოგადო მოღვაწენი გახდნენ. 1905 წლის პროფესორ-მასწავლებელთა სიაში მოხსენებულია მაგისტრი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, ძველი კლასიკური ფილოლოგიისა და საბერძნეთისა და რომის სიძველეების პროფესორი, რომელიც ტარტუს უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

გურამ გასიტაშვილი

ბელა მირიანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა მირიანაშვილი წინააღმდეგი იყო, რომ მის შესახებ რამე დაწერილიყო ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

— ძალიანა გთხოვთ! სხვა ვინმეზე დასწერეთ. მე ჯერ არაფერი გამიკეთებია საამისო. მერე... როდესმე... ვნახოთ... ძალიან, ძალიან გთხოვთ!.. გეხვეწებით!...

— კარგი, თქვენი ნება იყოს. მაგრამ მაინც გვიამბეთ ცოტა რამ. გვიამბეთ სად დაიბადეთ. სად და როგორ სწავლობდით, რატომ აირჩიეთ მსახიობის პროფესია. ჩვენ ეს ყველაფერი ძალიან გვაინტერესებს.

— დავიბადე თბილისში.

— მერე?

— მერე... მერე დავამთავრე თბილისის მე-50 საშუალო სკოლა. ამავე დროს დავამთავრე მუსიკალური ათწლედი ფორტეპიანოს განხრით. თან ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვსწავლობდი. 1952 წელს შევედი კომკავშირში, ეს არის და ეს. ჰო, კინომსახიობობას არ ვაპირებ.

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ უკვე ორ ფილმში ითამაშეთ?!.. ორივეში მთავარ როლებს ასრულებდით.

ბელამ ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი. საკუთარი ბიოგრაფიის ეს ორი მომენტი მას რატომღაც მძიმე ფიქრებს ჰგვრის:

— მაყურებელი კმაყოფილია თქვენი თამაშით. „საბუდარელ ჭაბუკშიც“ და „დღე პირველ, დღე უკანასკნელშიც“ თქვენ კარგად, უბრალოდ და დამაჯერებლად თამაშობთ!

— იცით რა?

— ბრძანეთ!..

— მე რატომღაც მაინც სცენა მირჩევნია.

— ეს უკვე თქვენი ნებაა. რა როლები შეგასრულებიათ სცენაზე?

— ბევრი არაფერი. ქალი—წერო იაპონელი დრამატურგის დიუნდი კიროსიტას „წეროს ფრთებში“, ლიუდმილა, გორკის „ვასა ჟელეზნოვაში“, კეროლი, ბრისტლის „დრო და კონვეის ოჯახში“, ჟანეტი, ალფრედ ჩერინის „მეექვსე სართულში“. ეს არის და ეს. ყველა ეს როლები



შეკასრულე თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე. ასე რომ...

— ძალიან კარგი. თუ გითამაშიათ რომელიმე ქართულ პიესაში?

— ჯერ არა, მაგრამ...

რუსთაველის სახელობის თეატრში დაიდგა უ. შექსპირის „ჰამლეტი“.

ვაქვეყნებთ მხატვარ ალ. ბანძელაძის ჩანახატებს ამ სპექტაკლიდან.

ჰამლეტი — რესპუბლიკის დამსახ. არტისტი გ. გეგეჭკორი



კლავდიუსი — სსრკ სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე

ოფელია — რესპუბლიკის დამსახ. არტისტი მ. ჩახავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია წუნეთელი



ორლეანელი ქალწულის უანა დარკის შესახებ რამდენიმე კინოფილმია გადაღებული, უკანასკნელი სურათი გადაიღო ამერიკელმა რეჟისორმა ოტო პრემინგერმა, 18.000 კანდიდატიდან უანა დარკის როლისათვის მან შეარჩია მანამდე უველასთვის უცნობი სტუდენტი ქალი ჯინ სებერგი, რომელიც უნივერსიტეტის კინომოყვარულთა წრის წევრი იყო. ფილმი შეიქმნა ბერნარდ შოუს „უანა დარკის" მიხედვით.

იარაღით აღჭურვილი თავისუფლებისათვის მებრძოლი მეომარი ქალის ისტორია იმდენად მომგებიანი და კინემატოგრაფიულია, რომ ბუნებრივია ამ თემას უურადღება მიაქცია ნიჭიერმა ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა რეზო ჩხეიძემაც, რომელმაც შექმნა ფილმი მაია წუნეთელის შესახებ.

სურათზე აღბეჭდილია მსახიობი ლეილა აბაშიძე მაია წუნეთელის როლში (მარცხნივ) და ჯინ სებერგი უანა დარკის როლში.

კაპიტალისტური კინოხელოვნების ერთი სავალალო თავი

ის, რაც ფრანგული კინემატოგრაფიისათვის წლების მანძილზე მიუღწეველი რჩებოდა, უკვე მიღწეულია. ფრანგულმა ფილმებმა გაიკვლიეს გზა ამერიკის კინოთეატრებისაკენ: პირველი ფრანგული ფილმი, რომელიც ამერიკის ეკრანებზე შეიჭრა და დიდი სენსაცია გამოიწვია, იყო „ქალი მარად მიმზიდველია". მთავარ როლს ასრულებდა ახალგაზრდა კინოვარსკვლავი ბრიჯიტ ბარდო. ეს სეზონის უველაზე მომგებიანი ფილმი იყო იმ წელს. ბარდომ სწრაფად დაიპყრო ამერიკელი კინომაყურებელი. ჟურნალმა „ლუკმა" 1958 წლის იანვარში მისი სურათი ეიზენჰაუერის სურათის გვერდითაც კი მოათავსა პირველ გვერდზე.

ნუთუ ეს მინიატურული ფრანგი ქალი მართლა ისეთი დიდი ხელოვანია, რომ ადამიანები მიჯაჭვულებივით შეპყურებენ ეკრანს? არაფერი ამის მსგავსი! 3 წლის წინათ, როცა „ქალი მარად მიმზიდველია" პირველად გამოვიდა პარიზის ეკრანებზე, ხმა დაირხა — ეს ფილმი შიშველი პორნოგრაფიაა.

ფილმის დიდი წარმატება ამერიკაში იმით აიხსნება, რომ ბრიჯიტ ბარდომ მოახერხა შეეპრილიყო იმ ჰოლივუდელი ვარსკვლავების სამყაროში, რომელთა პოპულარობას განაპირობებს არა ხელოვნება, არამედ მათი სხეულის ზომაზე მეტად განვითარება. ეს ქალბატონები, რა თქმა უნდა, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ერთი რამ საერთო აქვთ: არანორმალურად გაზრდილი ზედა ტანები.

ჯეინ მენსფილდი, მერლინ მონროი, სოფია ლორენი, მარტინ კაროლი, ბრიჯიტ ბარდო და ბევრი სხვა მხოლოდ იმისათვის იღწვიან, რომ ერთხელ მაინც მოხვდნენ ფართო საქმოსნური რეკლამის ცენტრში. ესინი ვაიკინომაყურებლების სათაყვანო კერპებად იქცნენ და კაპიტალისტური სამყაროს მილიონობით ადამიანისათვის ქალის იდეალურ ტიპებად ითვლებიან. 20 წლის წინათ ეს ქალები უჩვეულოდ სავსე გულმკერდებით ვერ გამოიწვევდნენ კინოთეატრებში სენსაციებს: მაშინ ტრიუმფის გამომწვევი იდეალური ფიგურა იყო. როდის მოხდა „იდეალის" ასეთი შეცვლა?

სავსე მკერდების გიჟური მოდა ამერიკაში დაიწყო ერთ-ერთი ბიზნესმენური ტრიუკით: 1947 წელს ფილმის მწარმოებელს — ჰუგესს უხეირო ფილმი გამოუვიდა. დიდი ხარჯების დასაფარავად და ფილმის გადასარჩენად ჰუგესმა ასტეხა ხარეკლამო აურზაური, რაც ნახევარი მილიონი დოლარი დაუჯდა, მაგრამ „ბრწყინვალე" შედეგი გამოიღო: ჰუგესი აცხადებდა, რომ ცენზურამ აკრძალა მისი ფილმი... მთავარი როლის შემსრულებლის სავსე გულმკერდის გამო. რეკლამამ შეაქმნა „სავსე გულმკერდიანი ქალის" იდეალური ტიპი.

ჰუგესმა თავისი გაიტანა. „მკერდების ეპიდემიამ" ისეთი ფართო მასშტაბი მიიღო, რომ ამერიკელი მამაკაცი, რომელსაც ცოლად „ჩვეულებრივი" გულმკერდიანი ქალი შეხვდებოდა, თავს ბედისაგან დაჩაგრულად გრძნობდა და ოცნებობდა ეკრანებზე ნანახ „იდეალურ" ქალზე. ამის შედეგად ბევრი „ჩვეულებრივმკერდიანი" ამერიკელი ქალი ფსიქიურად დაავადდა, ზოგი თვითმკვლელობამდისაც კი მივიდა; ჰოლივუდის განთქმული ვარსკვლავები კი, რომლებიც ბუნებისაგან ამ მხრივ უხვად არ იყვნენ დაჯილდოებულნი, კარიერის დაღუპვის წინაშე დადგნენ. მათ პლასტიკურ ოპერაციებს მიმართეს. ასეთი ოპერაციები რადაც „უმნიშვნელო" თანხა — 5000 დოლარი უჯდებოდა თვითეულს.

ასე მოახერხა, რეკლამამ ამერიკაში და იმ ქვეყნებში, სადაც ამერიკას მსგავსი „კულტურა და ცივილიზაცია" შეაქვს, ქალები უბედურნი, ხოლო მამაკაცები ბედით უკმაყოფილონი გაეხადა.

ჟურნალ „ფილმშაბგელიდან".

თარგმნა დ. კოკაიამ.



ბრაზილიის ახალი დედაქალაქი — ბრაზილია

სულ მალე, ა/წ 21 აპრილს ბრაზილიის მთავრობა რიო-დე-ჟანეიროდან გადავა ახალ დედაქალაქში — ბრაზილიაში, რომელიც ბრაზილიის მთიანეთის ცენტრალურ ნაწილშია გაშენებული.

ბრაზილიის დედაქალაქის გადატანის საკითხი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს იდგა. 1763 წლამდე ბრაზილიის დედაქალაქად ითვლებოდა ნავსადგური სალვადორი, შემდეგ კი დედაქალაქი რიო-დე-ჟანეიროში გადაიტანეს.

როგორც ცნობილია, ბრაზილია მცირედ დასახლებული ქვეყანაა. მისი ტერიტორია უდრის 8,5 მლნ. კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი 62 მილიონს (1958 წ.), ე. ი. საშუალოდ ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოდის მხოლოდ 7,3 მცხოვრები, მოსახლეობის შედარებით მაღალ სიმჭიდროვით ხასიათდება ზღვის სანაპირო რაიონები, ცენტრალურ და ჩრდილო ბრაზილიაზე კი, მოდის მთელი ტერიტორიის $^3/_5$.

მოსახლეობის არათანაბარი განლაგება, უზარმაზარი ტერიტორიების ათვისება, აი, ორი მთავარი მიზეზი რამაც ბიძგი მისცა ბრაზილიას ახალი დედაქალაქის ქვეყნის სიღრმეში გადატანას. ახალი დედაქალაქი უნდა გადაიქცეს შიდა რაიონების ათვისების ბაზად.

ახალი დედაქალაქის გასაშენებლად ძიება დაიწყო ოცდაოდე წლის წინათ. მოძებნილი იქნა ქალაქის გასაშენებელი საუკეთესო ადგილი. გოიას შტატში შაპადა-დუს-ვიადეიურუს ზეგანზე, დაახლოებით 1100 მეტრის სიმაღლეზე არის დიდი მოსწორებული ადგილი.

დედაქალაქი ბრაზილია ვაშინგტონის მსგავსად ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დედაქალაქი იქნება, დაახლოებით 500.000 მცხოვრებით.

ქალაქი დაგეგმილია აშ შტატების ცნობილი ფირმის ბელჩერის მიერ, ხოლო საბოლოო სქემა ქალაქისა ეკუთვნის ბრაზილელ ხუროთმოძღვარს ლუციო კოსტას. გეგმის მიხედვით ქალაქი მოგვაგონებს თვითმფრინავს, მის „ფიუზელიაჟში“ მოთავსებული იქნება მთავრობის მოედანი, სამინისტროები, „ყაზარმები, საფინანსო და სავაჭრო დაწესებულებანი, „ფრთებში“ კი საცხოვრებელი სახლები.

სულ მალე მსოფლიო რუკაზე გამოჩნდება ახალი დედაქალაქის სახელწოდება — ბრაზილია.

ბ. ზარდალიშვილი.



* * *

პეტერს სახლში ეკითხებიან: როგორ მოგწონს ახალი მასწავლებელი?

— არა უშავს, მაგრამ მასზე დანდობა აჭ შეიძლება: გუშინ გვითხრა, 3+3 უდრის 6-სო, დღეს კი გვეუბნება, 2+4 არის ექვსიო.

* * *

ერთმა კოლექციონერმა მისწერა ნაცნობ ხელოვნებათმცოდნეს; „შევიძინე რუბენსის ორი ორიგინალი. ვინც შეეცდება დამიმტკიცოს, რომ სურათები ყალბია, ტყავს გავაძრობ. გთხოვთ, გამოსთქვათ თქვენი მიუკერძოებელი აზრი ამ სურათებზე“.

* * *

— დღეს ახალი საზაფხულო მოდები ვნახე, ფრიც! ისეთი კარგია, ისეთი...

— მოკლედ მოსჭერი, იულია...

— მოკლედ მოვჭრი, მაგრამ სამ მეტრზე ნაკლები მაინც არაფრით არ მეყოფა...

* * *

მისის ბრაუნი პატარა ხმაურზე ყოველთვის შეშინებული აღვიძებდა ქმარს.

— გესმის, კარებთან ქურდებია! — კანკალით ეუბნებოდა მეუღლეს.

ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა ქმარმა უთხრა:

— გაიგე, რომ აქ არავინ არ არის. ქურდები ყოველთვის უხმაუროდ აკეთებენ თავიანთ საქმეს, ჩვენ მაინც ვერაფერს გავიგებთ.

ამის შემდეგ მისის ბრაუნი ყოველთვის აღვიძებდა ქმარს, როდესაც კარებთან აბსოლუტური სიჩუმე იყო.



უტექსტო ხუმრობა

* * *

ერთი მოკრივე შეჯიბრების დროს დამარცხდა, რინგზე გულაღმა გართხმული ისმენდა მსაჯის თვლას: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი...

უცებ მოკრივე წამოჯდა, სწვდა ხელებში მსაჯს და უთხრა:

— ღვთის გულისათვის, ცოტა ყურს მაკლია. ქენით სიკეთე და თავიდან დათვალეთ...

* * *

— ჰანს, მართალია, რომ მეზღვაურებს ყოველ ნავსადგურში ყავთ საცოლე? — შეეკითხა ქალიშვილი მეზღვაურს.

— სისულელეა, — აღშფოთდა ჰანსი — ჩვენ ყველა ნავსადგურში არ შევდივართ.

* * *

— მაშ ასე, — უბსნის ფიზკულტურის მასწავლებელი ბავშვებს, — დაჯექით და წარმოიდგინეთ, თითქოს ნავში ზიხართ და ნიჩბებს უსვამთ: ერთი, ორი, ერთი, ორი.

ყველა იმეორებს. მხოლოდ ერეინი ზის წყნარად.

— ერვინ, რატომ გაჩერებულხარ?

— მე მოტორიან ნავში ვზივარ, მასწავლებელო.

* * *

ეს კოსტუმი შალისაა? — ეკითხება ქალბატონი მაღაზიის გამყიდველს.

— დიახ, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

— მაშ რატომ აქვს წარწერა „ვისკოზნარეკი“?

— ეს ჩვენ ისე, ჩრჩილის შესაცდენად გავაკეთეთ.

* * *

— მაშ ასე, — მიმართა ტეხასელმა მილიონერმა ზოოპარკის დირექტორს, — რა ღირს თქვენი ზოოპარკი? მე მსურს ვიყიდო იგი ჩემი ვაჟიშვილის გასართობად.

— მითხარით, გეთაყვა, — თავაზიანი ღიმილით მიუგო დირექტორმა მილიონერს — რა ღირს თქვენი ვაჟიშვილი? იგი, როგორც ასეთი იშვიათობა, ძალზე კარგი იქნებოდა ჩვენი ზოოპარკისთვის.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: ხალხური შემოქმედების მოტივები ჩახატული ფშავ-ხევსურეთში არქიტექტორ თინათინ ფანიაშვილის მიერ.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | ჟურნალი გააფორმა ვ. ონიანმა. | ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. | ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოხული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.II-60 წ. გამომც. № 21. ქაღ. ზომა 70×108 $^1/_8$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23.000. შეკ. № 179, უე 00009

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკვეთა ეკვეთა



დუეტი



რა მშვენიერი ნახევარმიწაა!



ელექტრონის აღმოჩენა და გამოყენება



ყვავილის მოყვარული



ეროვნული
ბიბლიოთეკა